საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლოდროინდელი სიფცეა, ფიცილებით და ჯიბეებით ბუტითის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 29 ივნისი. 2022 წ. №80 (9418) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

დღევანდელ ევროპას უნდა სჯეროდეს, რომ საქართველოს პრინციპული, დამოუკიდებელი, სამართლიანი და ერთიანი ხელისუფლება ჰყავს!

ირაკლი ღარიბაშვილი

დრო და საქმე ყველაფრის მკურნალია!

②

ვატიკანმა მთელი სამყარო ქართული გალობით გააოგნა!

იხ. 6 გვ.

დავით კუნალაშვილი:

უკრაინამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები

③

③ პრაქტიკულად, ჯერ არაფერი გვაქვს დაკარგული

თბილისში ანდალიზის ფაქტები მოგრავლდა! ⑤

მედიკამენტებით მოსახლეობის ქარცვა კიდევ უფრო შემცირდება! ⑪

შავლეგ, შენი შავი ჩოხა, ⑨ შავლეგო!

ფერთა სიმფონია შეშვიათეს ნაძარგებში ⑦

...და ცემცემებდა თაფლის სანთელი

ქართული ღვინო ⑫ სკანდინავიის ქვეყნებში

სალომე ზურაბიშვილი:

სწორედ ეს არის ერთიანი თანხმობა

SOS! ▶ ვინ აშინებს აფხაზებს „ქართული რევანშით“ ④

დრო და საქმე ყველაფრის მკურნალია!

დღეს არის საიუბილეო თარიღი. 8 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირთან, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ბოლო სხდომაზე განაცხადა. პრემიერმა რამდენიმე ძირითად ხელშესახებ შედეგზე ისაუბრა, რომელიც ქვეყანამ მიიღო.

...ეს არის მართლაც ისტორიული თარიღი, როდესაც ქვეყანა გახდა ასოცირებული წევრი ევროკავშირისა და რეალურად, მას შემდეგ დაიწყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. 8 წლის წინ მე მქონდა პატივი ჩვენი ქვეყნის სახელით ხელი მომეწერა ამ შეთანხმებაზე და მას შემდეგ, მინდა გამოვყო რამდენიმე ძირითადი ხელშესახები შედეგი, რომელიც ქვეყანამ მიიღო.

პირველ რიგში, ეს არის თავისუფალი ვაჭრობა, რომელიც გვაქვს ჩვენ, ქვეყანას, ევროკავშირთან და მას შემდეგ ძალიან დადებითი დინამიკა გამოიკვეთა, ვაჭრობა იზრდება და ჩვენს მეწარმეებს გააქვთ საკუთარი პროდუქცია ევროკავშირში, ყოველგვარი ბარიერების გარეშე, ნულოვანი ბარიერის გარეშე.

მეორე მთავარი მიღწევა, ეს არის უვიზო რეჟიმი. ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე ქართული პასპორტით გადაადგილდება უვიზოდ ევროკავშირის ქვეყნებში, რაც, რა თქმა უნდა, ასევე, ძალიან ხელშესახები შედეგია.

და მესამე, ახლა უკვე ჩვენი ევროპელი ლიდერების მიერ აღიარებული ჩვენი ქვეყნის ევროპული პერსპექტივა, ანუ მათი გაცხადებული დაპირება, რომ ქვეყანა გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ეს სამი ძირითადი მონაპოვარი, სულ რაღაც 8 წლის განმავლობაში, 10 წლის განმავლობაში, მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“...

...მინდა ასევე შევახსენო ჩვენს მოქალაქეებს, რომ ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკების პროცესი იყო გაჭიანურებული წინა ხელისუფლების დროს. 3 წლის დაგვიანებით დაიწყო ქვეყანამ მოლაპარაკების პროცესი. აღარაფერს ვსაუბრობ უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა. ჩვენ დავიწყეთ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, შემდეგ თავისუფალი ვაჭრობის ხელმოწერით და მიღებით, მოპოვებით, უვიზო რეჟიმის მიღებით და ახლა უკვე შეგახსენებთ, რომ ევროპული პერსპექტივა, რომელიც ქვეყანას 24 ივნისს მიენიჭა.

მჯერა, რომ ჩვენ ძალიან მალე მივიღებთ კანდიდატის სტატუსსაც და გავაგრძელებთ ჩვენი ქვეყნის წინსვლას და განვითარებას. ეს არის რეალური, რაც ქვეყანამ შეძლო ჩვენი მმართველობის დროს.

კიდევ ერთი მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პარტიის ინიციატივა იყო კონსტიტუციაში ჩაწერა, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრება. ეს განსაზღვრა კონსტიტუციის დონეზე, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი, ორიენტაცია არის სწორედ ევროატლანტიკური. ეს, რა თქმა უნდა, ასევე, ჩვენი გუნდის დამსახურებაა“.

* * *

...რამდენიმე ძირითადი შედეგი მინდა გამოვყო, ამ სამი ძირითადი მიღწევის გარდა ჩვენ ყველა მიმართულებით, იქნებოდა ეს თუნდაც ზოგადად, ევრო რეგულაციებისა და ევრო დირექტივების შესრულება, დაახლოებით 45%-ია შესრულებული. DCFTA-ს ნაწილში უკვე შესრულებული გვაქვს 50%-ზე მეტი... განხორციელდა უმნიშვნელოვანესი რეფორმები, როგორი არის ადამიანის უფლებების სფეროში, პენიტენციურ, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, ასევე ნოვაციების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის სფეროებში, საჯარო სამსახურის რეფორმის მიმართულებით, ენერგეტიკის, რეგიონული განვითარების კუთხით. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით დამატებითი იმპულსი მიეცა ქვეყანას ევროკავშირის ჩარჩო პროგრამებში მონაწილეობისა — ეს არის „ერასმუსი(“ „ჰორიზონტი 2020“, „შემოქმედებითი ევროპა“, აკწტეუჩ, ევროჯასტი... ეს ყველაფერი არის ის, რაც ქვეყანამ ამ მოკლე დროში შეძლო, მოახერხა და მიიღო. ერასმუსის პროგრამაში მონაწილეობის მხრივ, საქართველო იკავებს მეექვსე ადგილს, პროგრამაში მონაწილე 141 ქვეყანას შორის. ეს არის რეალური ინტეგრაცია ევროპასთან და ხელშესახები შედეგი“...

* * *

ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ 5 თვეში გვექნება ორნიშნა ეკონომიკური ზრდა!

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე განაცხადა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, იმ ფონზე, როდესაც ეკონომიკა რეცესიას განიცდის და უკრაინის ომის ფონზე ყველა ქვეყანას აქვს გამოწვევა, საქართველომ მოახერხა ის, რომ 5 თვეში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ექნება.

„ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ეკონომიკური ზრდა. წინასწარი მონაცემებით, რაც მე ფინანსთა მინისტრისგან მივიღე, თუმცა ჩვენ რა თქმა უნდა, ველოდებით საქსტატის ოფიციალურ მონაცემებს. მაისშიც ველოდებით ორნიშნა ეკონომიკურ მონაცემებს. გამოდის, რომ ამ წელს, 5 თვეში, გვექნება ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. ეს მართლაც უპრეცედენტოა ევროპაში. იმ ფონზე, როდესაც ინგრევა მსოფლიო ბაზრები, ეკონომიკა რეცესიას განიცდის და ზოგადად, პრობლემა არის ყველგან, უკრაინის ომის ფონზე ყველა ქვეყანას აქვს გამოწვევა. ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ 5 თვეში გვექნება ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართულებით გვაქვს რეკორდული მაჩვენებელი წელს, პირველ კვარტალში. იზრდება ტურიზმი, ვაჭრობა, ექსპორტი, ლარი არის გამყარებული. ყველა მიმართულებით ჩვენ გვაქვს პოზიტიური დინამიკა. ამას, რა თქმა უნდა, ჩვენ შევინარჩუნებთ, კიდევ უფრო მაღალი ტემპებით უნდა გავაგრძელოთ ჩვენ მუშაობა ახლა და, რა თქმა უნდა, ჩვენ არც ერთ დესტრუქციულ ძალას არ მივცემთ საშუალებას, რომ ეს პროცესი შეაფერხოს.

ჩვენ გავაგრძელებთ წინსვლას, ჩვენი ქვეყნის განვითარებას, მშვიდობა, სტაბილურობა იქნება ქვეყანაში და კეთილდღეობა ჩვენი მოქალაქეებისა. ეს არის ჩვენი ხალხის დაკვეთა და ჩვენ ამ დაკვეთას ყველანი ერთად შევასრულებთ“!..

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

შალვა პაპუაშვილი: ტექნიკური მთავრობა ეს სხვა არაფერია, თუ არა ძალაუფლების მიტაცების კიდევ ერთი სურვილი

ტექნიკური მთავრობა სხვა არაფერია, თუ არა ძალაუფლების მიტაცების კიდევ ერთი სურვილი, დემოკრატიის და დემოკრატიული პროცედურების გვერდის ავლით, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„ამ პოლიტიკურ ჯგუფებს და ორგანიზაციებს არ სურთ, რომ „ქართული ოცნება“ იყოს ხელისუფლებაში, მაგრამ დემოკრატია ასე არ მუშაობს. დემოკრატია მუშაობს არჩევნებით და არჩევნებზე როგორც გადაწყვეტს ამომრჩეველი, ხალხი, ამას უნდა მიყვეს ყველა, იქნება ეს პოლიტიკური პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია, მედია, აქტივისტი თუ ა.შ. ამას ჰქვია დემოკრატია, რომელმაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გადაწყვიტა და გაანაწილა ის პოლიტიკური

წონა პარტიებს შორის, როგორც ეს მოისურვა ქართველმა ხალხმა და ყველამ უნდა სცეს პატივი ქართველი ხალხის ნებას. ეს საუბრები არის იგივე წრეზე შესვლა, იგივე სპირალში მოხვედრა, რასაც ჰქვია ძალაუფლების მიტაცება დემოკრატიის გვერდის ავლით, რასაც, რა თქმა უნდა, როგორც სხვა დროს ვერ შეძლეს, ახლაც ვერ შეძლებენ. დემოკრატიას ჩვენ ქვეყანაში გვერდს ვერავინ აუვლის“, — განაცხადა პაპუაშვილმა.

ამასთან, კითხვაზე: რატომ შეიძლება საპარლამენტო უმრავლესობას ჰქონდეს აღმასრულებელი ხელისუფლების შეცვლის საწინააღმდეგო და რატომ ვერ უნდა შეჯერდეთ ახალი შემადგენლობის მთავრობის დაკომპლექტებაზე, რომელიც წლის ბოლომდე ევროკავშირისგან მოთხოვნილი პუნქტების შესრულებას უზრუნველყოფს? — პაპუაშვილმა უპასუხა: **„აქ საპარლამენტო უმრავლესობის აზრი კი არ არის გადამწყვეტი, გადამწყვეტია ხალხის აზრი და ხალხი ეწინააღმდეგება ამას, ვინაიდან არჩევნებზე ხალხმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ ჰქონოდა და მთავრობა „ქართულ ოცნებას“ დაეკომპლექტებინა. ეს არის დემოკრატიული მანდატი და ამის გვერდის ავლის მცდელობაა, ტექნიკური მთავრობა“.**

ლევან ნიკოლეიშვილი: ვანო ჩხიკვაძე „სირცხვილიას“ აქციებს აფინანსებს

კანდიდატის სტატუსის გადაწყვეტილებამდე პირადად ლობირებდა საქართველოს „დაჩაგვრას“, ხოლო სტატუსის არმიღების შემდეგ "აღშფოთდა“ და განაცხადა, რომ თურმე ხელისუფლებას არ ჰქონდა გაცნობიერებული, რისი მიღება შეეძლო“, — წერს ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი ვანო ჩხიკვაძის შესახებ.

„ეს კაცი სოროსის ფონდის ევროპული პროგრამების ხელმძღვანელია. კანდიდატის სტატუსის გადაწყვეტილებამდე პირადად ლობირებდა საქართველოს „დაჩაგვრას“, ხოლო სტატუსის არმიღების შემდეგ „აღშფოთდა“ და განაცხადა, რომ თურმე ხელისუფლებას არ ჰქონდა გაცნობიერებული, რისი მიღება შეეძლო. ეს ვირიშვილი ერთი ხელით საქართველოს ხელს უშლიდა კანდიდატის სტატუსის მიღებაში, ხოლო მეორე ხელით სირცხვილიას აქციებს აფინანსებს... არის რაიმე კითხვა?“ — წერს ნიკოლეიშვილი. სოროსის ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერის კიდევ ერთი განცხადება პოლიტიკური შეფასებების საგანი გახდა. ვანო ჩხიკვაძე ამჯერად ორგანიზაცია „სირცხვილიას“ ეთანხმება და აცხადებს, რომ ე.წ. ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბების მომხრეა.

რატი იონათამიშვილი: EPP გახდა საქართველოში კრიმინალური პარტიების თავშესაფარი

— ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **რატი იონათამიშვილმა** განაცხადა.

„თუნდაც ის ბოლო რეზოლუცია, რომელიც იყო მიღებული სწორედ ამ პარტიისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთობლივი ძალისხმევით, საქართველოს მიმართ იყო მტრული. ეს ახალი არ არის. ჩვენ გვახსოვს, როდესაც ვიზალიბერალიზაციის პროცესი აქტიურად განიხილებოდა, მაშინ ყველანაირად ცდილობდა, რომ ეს არ მიეღო ჩვენს ქვეყანას, მაგრამ არც მაშინ და არც ახლა გამოუვიდათ, რომ საქართველოს არ მიეღო ევროპული პერსპექტივა და არც მომავალში გამოუვათ ისიც, რომ საქართველო აუცილებლად მიიღებს კანდიდატის სტატუსს“, — განაცხადა აღნიშნა იონათამიშვილმა.

მმართველი გუნდის შეფასებით, ევროპის სახალხო პარტიის განცხადებები „ნაციონალური მოძრაობის“ დღის წესრიგს უკავშირდება. „ქართული ოცნება“ „იპიპის“ რეზოლუციებსა თუ განცხადებებს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირით ხსნის.

ფოთში, საკრებულოს სხდომაზე ნამდვილი პროვოკატორები გამოჩნდნენ!

ფოთში, საკრებულოს სხდომაზე ხმაური იყო. **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები სხდომაზე მივიდნენ მაისურებით, რომლებზეც დატანილი იყო წარწერა — დეოლიგარქიზაცია და რამაც მმართველი პარტიის გაღიზიანება გამოიწვია.**

„ქართული ოცნების“ დეპუტატებმა ოპონენტებს მათი მმართველობის წლები შეახსენეს და გამოფინეს ფოტოები, სადაც წინა ხელისუფლების დროინდელი ძალადობრივი კადრები იყო გამოსახული.

„პარადოქსული იყო „ნაცმოძრაობის“ მხრიდან დეოლიგარქიზაციაზე მოწოდება და წარწერა მაისურზე, როცა საკუთარი დამფინანსებლები მოქმედი ოლიგარქები არიან და თან აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკაში“, — განაცხადა ფოთის საკრებულოს ფრაქცია „ქართული იცნების“ თავმჯდომარის მოადგილე ზაალ კვინჩიამ. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ირაკლი ლაბარტყავას განცხადებით კი, ევროკავშირის დასკვნაში წარმოდგენილი 12 რეკომენდაციიდან დეოლიგარქიზაცია ყველაზე მნიშვნელოვანია და ქვეყანას ეს პრობლემა უნდა მოეხსნას.

კახა გოგოლაშვილი:

პრაქტიკულად, ჯერ არაფერი გვაქვს დაკარგული

„თუ 6 თვეში შევასრულებთ ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ევროკომისიამ წაგვიყენა და შემდეგ ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა, ამ თვალსაზრისით მოლდოვას და უკრაინას დავეწევით“, – ამის შესახებ რონდელის ფონდის ხელმძღვანელმა **კახა გოგოლაშვილმა** ევროინტეგრაციის საკითხზე განაცხადა.

„თავისთავად, დროს ყოველთვის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ შეიძლება კანდიდატის სტატუსის მინიჭება ძალიან სწრაფად მოხდა ამ ორი ქვეყნისთვის და ჩვენთვის ევროპული პერსპექტივის მიცემა, მაგრამ იმის ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ შემდეგ ნაბიჯი ასე სწრაფად განხორციელდება.

ანუ იმისთვის, რომ მოლაპარაკებები დაიწყოს გაწევრებაზე, მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება კვლავ იქნება საჭირო და ევროკომისიამ მთლიანად უნდა შეისწავლოს განსხვავება ჩვენს საკანონმდებლო გარემოსა და ევროკავშირის საკანონმდებლო გარემოს შორის, შემდეგ, მოლაპარაკებების მანდატი უნდა შეიმუშაოს, რაც იკავებს გარკვეულ დროს.

თუ 6 თვეში შევასრულებთ ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც წაგვიყენა ევროკომისიამ და შემდეგ დაამტკიცა ევროპულმა საბჭომ, ჩვენ დავეწევით ამ თვალსაზრისით მოლდოვას და უკრაინას. სრულიად შესაძლებელია, რომ მაშინ ერთად ან შეიძლება ცალ-ცალკე დავიწყოთ მოლაპარაკებები ევროკავშირთან.

რაც შეეხება დანაკარგს, თუ ჩვენ კანდიდატის სტატუსისკენ მიმავალ გზას ძალიან დიდ დროს არ დავუთმობთ და ბევრი წელი არ დაგვჭირდება იმ ვალდებულებებისთვის, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად არაფერი გვაქვს დაკარგული. როდესაც პოტენციური კანდიდატი ხდები, პოტენციურ კანდიდატსა და კანდიდატს შორის დაფინანსების კონტექსტში და პოლიტიკური დიალოგის თვალსაზრისით, დიდი განსხვავება არ არის. მთავარი განსხვავება შემდეგ ჩნდება, როდესაც გაწევრების პროცესში ხარ და იქ ბევრად უფრო დიდი დახმარების პაკეტები მოდის იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც უახლოვდებიან გაწევრებას, მაგრამ კანდიდატის ეტაპზე კანდიდატს და პოტენციურ კანდიდატს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის დახმარების კონტექსტში“...

ჟურნალისტის კითხვაზე, კანდიდატის სტატუსის მიღების შემთხვევაში რა ფინანსური დახმარების სარგებელი აქვს ქვეყანას ევროკავშირისგან? – გოგოლაშვილი ამბობს, რომ კანდიდატ ქვეყნებს უფრო მეტი აქვთ დახმარების პაკეტები.

„რა თქმა უნდა, კანდიდატ ქვეყნებს უფრო მეტი აქვთ დახმარების პაკეტები, მაგრამ არ არის ისეთი დიდი განსხვავება, მით უმეტეს, გარდა ამ კონკრეტული პაკეტისა, რომელსაც ითვალისწინებს კანდიდატი ქვეყნების შემთხვევაში, ეს არის „იპა“, ან გაწევრების წინა ინსტრუმენტი.

აქ მთავარი არის ის, რომ როდესაც კანდიდატი ხდები, შენ უკვე დგახარ ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, გაწევრებისკენ მიდიხარ და სწორედ ეს არის ყველაზე მთავარი“...

დიდი ალბათობით, უკრაინაში მიმდინარე ომი მოლაპარაკების მაგიდასთან დასრულდება. ნატოს გენერალური მდივანი აცხადებს, ალიანსის მიზანია, უზრუნველყონ, რომ უკრაინა იყოს ისეთ ძლიერ პოზიციებზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა დაეხმარონ სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, რისთვისაც საუკეთესო საშუალებაა ძლიერი სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერა.

იენს სტოლტენბერგის ამ თვალთახედვას წინ უძღოდა უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინა დროებით უარს ამბობს ნატოში გაწევრებისთვის გადასადგმელ ნაბიჯებზე. იგორ ჟოვკვას განცხადებით, მოკლევადიან პერსპექტივაში ნატოში წევრობა შეუძლებელია.

„ნატოს წევრებმა უარყვეს ჩვენი მისწრაფებები. არაფერ სხვას ამ მიმართულებით აღარ გავაკეთებთ. უკრაინა ელის, რომ ნატოს მადრიდის სამიტზე მისაღებ სტრატეგიულ კონცეფციაში რუსეთის, როგორც პარტნიორის ნებისმიერი ხსენება წაიშლება. მაგრამ საკმარისი არ არის მხოლოდ სიტყვა „პარტნიორის“ წაშლა... ჩვენ ველით, რომ ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში, იქნება ბევრად მკაცრი გაფრთხილება რუსი აგრესორის მისამართით“, – განაცხადა იგორ ჟოვკვამ.

რატომ თქვა უკრაინამ ნატოზე უარი მადრიდის სამიტის წინ? – ამ საკითხთან დაკავშირებით for.ge უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტს დავით კუხალაშვილს ესაუბრა.

დავით კუხალაშვილი: უკრაინამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები

– როგორ ფიქრობთ, რატომ შეცვალა უკრაინამ გადაწყვეტილება და ამით რას აჩვენებს?

– რუსეთმა თავისი სტრატეგიული ინტერესი აღისრულა და ამავე დროს, ეს არის უკრაინის უკან დახევა. ყველა უკან გადადგმულ ნაბიჯში შეიძლება ვეძებოთ გარკვეული შეცდომები უკრაინის სადაზვერვო სამსახურის მიერ მოპოვებულ ინფორმაციებში და შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლების მიღებულ გადაწყვეტილებებში.

– დავუშვათ, რუსეთმა მიაღწია სტრატეგიულ მიზანს, იმ ფონზე, როცა უკრაინა ღებულობს ნატოს წევრი ქვეყნებისგან შეიარაღებას, მათ შორის უზარმაზარ ფინანსურ დახმარებას, უკრაინის განცხადება, რომ უარს ამბობს ნატოზე, ესეც სტრატეგიული ნაბიჯია?

– უკრაინამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. მარტო შეიარაღების მიწოდება საკმარისი არ არის. რეალურად, გადავდივართ ახალ ფაზაში და ალბათ, უახლოეს პერიოდში შუამავლის მეშვეობით შედგება მოლაპარაკება რუსეთსა და უკრაინას შორის.

– თუ რუსეთის სტრატეგიით ვიმსჯელებთ, უკრაინისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება რუსეთისთვის მიუღებელი არ არის...

– ზოგადად, კანდიდატობა, ვთვლი, რომ არაფრის მომცემია. ეს აჟიტირებული თემა არის იქიდან გამომდინარე, რომ არც უკრაინის და არც მოლდოვის ცხოვრებაში არაფერი არ იცვლება. ასევე ჩვენთვისაც, რომ ჩვენ ეს ყველაფერი ვერ მივიღეთ. ჩვენ გვაქვს პრაქტიკული მაგალითი – თურქეთის რესპუბლიკას თითქის 30 წელია კანდიდატის სტატუსი აქვს, მაგრამ არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ ის არის ნატოს წევრი. არ მგონია, რომ მან ბევრი რამე დაკარგა ევროკავშირში არყოფნით.

– როგორც მოვლენები აჩვენებს, მხარეები მოლაპარაკებისთვის ემზადებიან, გასაგებია, რომ ნატოზე უარს აცხადებენ, მაგრამ ახლა მნიშვნელოვანია, სად გაიყოფა უკრაინა...

– შედეგი სახეზე იქნება. უკრაინა იქნება დანაწევრებული. გარკვეული ტერიტორიები, რომელიც წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ ინტერესს, დარჩება მის კონტროლქვეშ. შესაძლებელია, ისევ სეპარატისტული რეჟიმებით განპირობებული, ან მარტო შეიარაღებული ძალების განთავსებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ ყველაფერი დამთავრდება. მე მაინც ვფიქრობ, რომ უკრაინა პარტიზანულ ომს გააგრძელებს, მაგრამ რამდენად მომგებიანი იქნება უკვე უკრაინისთვის, ამის თქმა ძნელია.

– ვთანხმდებით იმაზე, რომ უკრაინის ტერიტორიაზე ვაკვირდებით რუსეთ-დასავლეთის ომს. უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილება უკვე ნიშნავს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთმა დასავლეთი დაამარცხა?

– თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რისთვის დაიწყო ომი და რა შედეგი უნდა ყოფილიყო; რაც უკვე გვაქვს – უკრაინამ უარი თქვა ნატოსთან მიერთებაზე და მიიღო უსახური შეთავაზება კანდიდატის სტატუსის სახით და, ვფიქრობ, კიდევ ბევრი რამ მოლაპარაკების პროცესში გამოჩნდება, ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ ფაქტებიდან და მოვლენებიდან გამომდინარე, რომ უკრაინამ რეალურად ვერ გაუძლო ამ წინააღმდეგობას და ვერც გაუძლებდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მარტო შეიარაღების მიწოდება არ აღმოჩნდებოდა და არ აღმოჩნდა საკმარისი უკრაინისთვის.

გადავდივართ ახალ ფაზაში და ალბათ, უახლოეს პერიოდში შედგება მოლაპარაკება რუსეთსა და უკრაინას შორის

ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად დიდი გაფრთხილებაა საჭირო. აქიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების ერთადერთი გონიერი და სწორი გადაწყვეტილება იყო ის, რომ არ შევიდა ამ კონფლიქტში. ყოველ შემთხვევაში, იმ მასშტაბურ ანექსიას, რომელიც ჩვენ შეიძლება მიგვეღო და რომლის მასშტაბები უფრო დიდი იქნებოდა, ჩვენ ამას თავი ავარიდეთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვართ ისევ ანექსიის მოლოდინში, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით დაშორიშორება გამოვიწვიეთ. უკრაინაში განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ კიდევ უფრო მეტი საფრთხის ქვეშ დადგება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება. რუსეთის ფედერაციის მიზნებში შედის პოსტსაბჭოური სისტემის აღდგენა. ეს იქნება პირდაპირი, თუ ირიბი კონტროლი, ამას არსებითი მნიშვნელობა შეიძლება არ ჰქონდეს, მაგრამ ეს შეიძლება იყოს მასშტაბური კონტროლი.

– საინტერესოა, უკრაინის ეს გადაწყვეტილება გახდება დასავლეთის უკმაყოფილების მიზეზი?

– არა მარტო დასავლეთში იქნება უკმაყოფილება, არამედ აშშ-ში და პრაქტიკულად, ძლიერი ევროპული სახელმწიფოები, მათ შორის სადაზვერვო კოორდინაციით, ალბათ, ახალ ტაქტიკას შემოგვთავაზებენ უკრაინასთან დაკავშირებით და არ არის გამორიცხული, რომ როდესაც უკრაინაში სიმშვიდე დაისადგურებს, უკრაინის ხელისუფლება გამოყენებული იქნას არსებული ხელისუფლების ან „მშვიდობიანი“, ან ძალადობრივი დამხობისთვის. სამწუხაროდ, ეს არ იქნება მარტო რუსეთის ხელისუფლების მიზანი, არამედ ეს იქნება ამ სამი ერთობის – აშშ-ის, ევროპის და უკრაინის საერთო ინტერესი ამ მოვლენების განხილვის დროს, არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ არც ზვიად გამსახურდიას და არც ედუარდ შევარდნაძის დამხობის პერიოდში მარტო რუსეთი არ მოქმედებდა და ეს შედიოდა ევროპული სახელმწიფოების და აშშ-ის ინტერესებში.

...არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ არც ზვიად გამსახურდიას და არც ედუარდ შევარდნაძის დამხობის პერიოდში მარტო რუსეთი არ მოქმედებდა და ეს შედიოდა ევროპული სახელმწიფოების და აშშ-ის ინტერესებში.

ვინ და რისთვის აშინებს აფხაზებს „ქართული რევანშით“

ქართველებისადმი სიძულვილის მორიგი ტალღის აგორება და აფხაზეთის მოსახლეობის დაშინება ახლა ძალიან აწყობს პუტინის რუსეთს, რომელმაც მოახერხა, „დაეყოლიებინა“ სოხუმის ხელისუფლება, მაგრამ არა მოსახლეობა იმაზე, რომ აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის ნაწილად იქცეს. მალე შეიძლება, თქვან, მაგალითად, „აფხაზეთის უსაფრთხოება მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში იქნება დაცულიო“!..

ამ დღეებში სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში ვირუსულად გავრცელდა აუდიოჩანაწერი, რომლის ავტორი მსმენელებს „ქართველი ნაცების მხრიდან რევანშის მზადებაში“ არწმუნებდა. მისი მტკიცებით, იდეა, რომელიც თურმე, ამერიკელებსა და ბრიტანელებს ეკუთვნით, „რუსეთის საწინააღმდეგოდ და უკრაინის დახმარებაზეა მიმართული“, ხოლო მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში „საქართველოს ევროკავშირში ავტომატურად მიიღებენ“.

სანამ ამ პროვოკაციის შინაარსის დეტალურ ანალიზზე გადავიდოდეთ, მინდა, დავამშვიდო ჩვენი აფხაზი მკითხველების ის ნაწილი, რომელიც შესაძლოა, წამოეგო და ახლა შეშფოთებული ელის „ქართველი ნაცების“ თავდასხმას: თუ სადღეისოდ აფხაზეთის “დამოუკიდებლობასა“ და „სუვერენიტეტს“ რაიმე ემუქრება, საფრთხე არა ენგურის, არამედ ფსოუს მხრიდან მომდინარეობს! „რევანშის“ გეგმა არც საქართველოს ხელისუფლებას აქვს, არც რომელიმე ოპოზიციურ პარტიას! პირიქით, უკვე არაერთგზის გაცხადდა, მათ შორის – უკრაინის ომის დაწყების შემდეგაც, რომ საქართველოს ტერიტორიების ძალისმიერი გზით დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა ცალსახად გამორიცხულია.

რაც შეეხება ტექსტს, ხმა აუდიოჩანაწერში ამბობს შემდეგს: „ქართული მხრიდან სერიოზულმა ადამიანმა გვაცნობა, რომ ისინი (საქართველოს მოსახლეობა – **რედ.**) იქ შეიკრიბნენ, მამაკაცთა მობილიზებას ახდენენ, შეიარაღებას ცდილობენ, რათა უკრაინის დასახმარებლად ჩვენი (აფხაზეთის – **რედ.**) მიმართულებით მეორე ფრონტი გახსნან. (...) ახლა ჩვენთან სერიოზული ბიჭები (სოხუმის ბატალიონი, საბრძოლო დაზვერვა და სხვები) შეიკრიბნენ, ითათბირეს და გადაწყდა, ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანოთ. არ ვიცი, რამდენად დაგვეხმარება ის, რაც გვაბადია, „ბარიკადებისა“ და ყველაფერ დანარჩენის წინააღმდეგ, მაგრამ სხვა რა გზაა?! არადა, იქით სერიოზული მობილიზაციაა, თავისი „მაიდანი“ შეკრიბეს, მათმა პრეზიდენტმა (სალომე ზურაბიშვილმა – **რედ.**) მაშინვე და მომიტინგე „სააკაშვილელების“ მხარე დაიკავა. ვფიქრობ, მთავრობაც მალე დანებდება, რომ არ გადააგდონ. როგორც ჩანს, ამერიკელებმა და ბრიტანელებმა, რომლებიც იყვნენ ჩასულები, დაარწმუნეს ისინი – „ავტომატურად მიგიღებთ ევროპა, თუკი ომს დაიწყებთ და თქვენს ტერიტორიებს დაიბრუნებთო“ – ისევ და ისევ რუსეთის საზიანოდ. იცით, რომ ამ ძნელბედობის ჟამს აფხაზეთში არსებული მე-7 რუსული ბაზა უკრაინაში იბრძვის, ხოლო რაც აქ დარჩა, არ ვიცი, რა რაოდენობითაა და რა მდგომარეობაში. ჩრდილოეთ კავკასიის კუთხითაც არაერთმნიშვნელოვანია ვითარება: ინგუშები ამბობენ, „საქართველოს მთლიანობას ვუჭერთ მხარსო“, აქეთ იაგანოვია თავისი იდეებით და ა.შ., ყაბარდო-ბალყარეთიც აღარ „სუნთქავს“ ისე ერთიანად, როგორც ადრე. ჩეხებიც უკრაინაში იბრძვიან, რამდენნი არიან იქ – უცნობია, მაგრამ რომც მოვიდნენ დასახმარებლად, რით მოვლენ? – ავტომატებით. რუსეთი რით დაგვეხმარება? – მაქსიმუმ, ერთი-ორი რაკეტა დაუნიავოთ (თბილისს – **რედ.**) – მე არ ვიცი, რას მოიმოქმედებს, მაგრამ ფაქტია, რომ არავის უნდა ველოდოთ და თავად უნდა ვემზადოთ. ასე, რომ თავად იფიქრეთ, ძმებო“!..

მოკლედ, სიცრუისა და მანიპულაციის ერთგვარი ალოგიკური, თუმცა საკმარისად ტოქსიკური ნაზავია აფხაზეთის მცხოვრებთა დასაშინებლად, რათა შემდეგ დამკვეთმა ეს შიში საკუთარი შორს მიმავალი გეგმებისთვის გამოიყენოს.

აფხაზების იმ ნაწილს, რომელიც ნაკლებად ინტერესდება თბილისში მიმდინარე მოვლენებით, პატარა საიდუმლოს გავუმხელ: „მეორე ფრონტისა“ და „ომის საფრთხის“ შესახებ ანალოგიური სადეზინფორმაციო ნარატივები ბოლო პერიოდში აქტიურად გამოიყენება ასევე ენგურს გამოღმა მცხოვრები მოსახლეობის ტვინებზე ზემოქმედებისთვის. უკრაინაში ომის დაწყების მომენტიდან პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში აშინებენ ამით ქართველებს სხვადასხვა პრორუსული ჯგუფები („ალტ-ინფო“, „ქართული მარში“, „კონსერვატორები“ და სხვ.), სახელისუფლებო ტროლები, მმართველ გუნდთან აფილირებული მედია და თავად ხელისუფლების წარმომადგენლებიც, რომელთა რუსეთისადმი ლოიალობა სულ უფრო ნაკლებად ინიღბება. ამასთან, ეს უკანასკნელები ისედაც სუსტი ოპოზიციის დისკრედიტაციის მიზნით ყოველ ჯერზე მოიხსენიებენ ოპონენტებს „ომის პარტიად“ და „რადიკალებად“, არადა, იმავდროულად თავად უწყობენ ხელს რეალურად რადიკალურ პრორუსულ ჯგუფებს, მაგალითად „ალტ-ინფოს“, რომელმაც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიაც მოიპოვა, პარტიადაც დარეგისტრირდა და შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც მიიღო, ბოლო დროს კი საეჭვო შემოსავლებით აქტიურად ხსნის კომფორტულ ოფისებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მმართველი პარტიის წარმომადგენლების „შესრულებით“ ხსენებული ნარატივი დაახლოებით ასე ჟღერს: „ძართული ოცნება ერთადერთი ხელისუფლებაა, რომლის დროსაც ომი არ ყოფილა“. ხოლო ნებისმიერ კრიტიკას – რა საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს იგი, „ოცნება“ პასუხობს კითხვით – „ომი გინდათ?!“. მეტიც, ხელისუფლებასთან აფილირებულმა რიგმა პირებმა საძართველოს მოსახლეობას გამაოგნებელი, სრულიად ამორალური არჩევანიც კი შესთავაზეს – „ომი გინდათ თუ თავისუფლებაო?“.

მაინც რას უკავშირდება „ქართული ოცნების“ მთელი ეს სადეზინფორმაციო კორიანტელი, რომლითაც მან ლამის აჯობა საყოველთაოდ აღიარებულ ლიდერ კრემლის პროპაგანდას? საქმე ისაა, რომ საქართველოს მმართველ გუნდს რეპუტაცია უკვე ქვეყნის შიგნითაც შეებღალა და გარეთაც, ხოლო უკრაინის მიმართ რუსულმა აგრესიამ, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც მძლავრი ტრიგერის როლი ითამაშა პოლიტიკური ძალების თვითლუსტრაციისთვის. ნათელი გახდა, რომ „მოსკოვის არგაღიზიანების“ მრავალწლიანი პოლიტიკა, რომლითაც მმართველი ძალა ვითომდა „საქართველოს იცავდა ომისგან“, რეალურად, იცავდა მხოლოდ „ოცნების“ დამფუძნებლისა და მმართველის, 10 წლის განმავლობაში ლამის მთელი საქართველოს მეპატრონედ ქცეული ბიძინა ივანიშვილის ბიზნესსა და მილიარდებს. ნათელი გახდა, რომ რუსეთისადმი „ოცნების“ ლოიალობა არა საქართველოს ინტერესებით იყო ნაკარნახები – ქვეყნისა, რომელიც „ოცნების“ მმართველობის პერიოდში საგრძნობლად დაშორდა დასავლეთსა და მთელს ცივილიზებულ სამყაროს, არამედ იმით, რომ ასე აწყობდა ივანიშვილის პირად ბიზნეს-ინტერესებს. და „არაუშავს“, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციაშია დადასტურებული, „ოცნების“ მსგავსი პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა: როგორც ამასწინათ მმართველი გუნდის ზოგიერთმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, „თუკი ივანიშვილს სანქციები შეეხება, საქართველომ შესაძლოა, ევროინტეგრაციაზე უარი თქვასო“.

„ქართული ოცნების“ მიერ ქვეყნის საზიანოდ ჩადენილი ქმედებების ჩამონათვალი უკვე საკმაოდ გრძელია. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ რეფორმები „გაიყინა“, მიღებულია ახალი ანტიდემოკრატიული კანონები, იგნორირებულია ვენეციის კომისიის რეკომენდაციები სასამართლო სისტემის კუთხით, ასევე ევროკავშირის რეკომენდაციები საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების თაობაზე. არაერთ საერთაშორისო რეიტინგში საქართველოს მაჩვენებლები გაუარესდა. ხელისუფლება კი ძალაუფლების შესანარჩუნებლად კრიტიკას კვლავ რეალობის უარყოფით, „ომითა“ და „რადიკალებით“ პასუხობს, რასაც ამასწინათ – ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭების საკითხზე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებამდე ორიოდ დღით ადრე ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური ტელეარხის ხელმძღვანელის დაკავება დაემატა. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ევროკომისიამ უკრაინასა და მოლდოვას სტატუსი მიანიჭა, საქართველო კი მის გარეშე დატოვა?! სწორედ ასე,– მხოლოდ და მხოლოდ უკრაინისადმი რუსული აგრესიის ფონზე გაჩენილი შანსი.

აი, რას უკავშირდებოდა ჯერ – 20, ხოლო შემდეგ 24 ივნისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე ივანიშვილის რეჟიმის ქმედებების მიმართ პროტესტისა და საქართველოს ევროინტეგრაციისადმი მხარდაჭერის ნიშნად გამართული მრავალათასიანი აქციები. ამასთან, ისინი არც აუდიოჩანაწერში ნახსენები „სააკაშვილელების“, არც რომელიმე სხვა პარტიის მიერ იყო ორგანიზებული. „ნაციონალური მოძრაობა“ ესოდენ მრავალრიცხოვან მიტინგებს პარტიისთვის უკეთეს დროსაც კი ვერ აგროვებდა. და სხვათა შორის, ამ აქციების „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიწერაც „ოცნების“ სადეზინფორმაციო ნარატივია მის კრიტიკოსთა იმ შეკრებების დისკრედიტაციისთვის, რომლებიც ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე მასშტაბურად იქცა.

მაგრამ მთავარი, რაც ჩვენმა აფხაზმა მკითხველმა უნდა იცოდეს, ისაა, რომ ამ აქციებს არაფერი აკავშირებს არც აფხაზეთთან, არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან: ეს საკითხი ხსენებულ მიტინგებზე არ გაჟღერებულა, მათი თემა არ ყოფილა. დანამდვილებით უნდა ითქვას ისიც, რომ ამ აქციებს არაფერი აქვს საერთო რალაც „მოგილიზებასთან“. საწინააღმდეგოს მტკიცებულებებს ხსენებული აუდიოჩანაწერის ვერც ავტორი წარმოადგენს, ვერც დამკვეთი, ვერც ვინმე სხვა. ასე, რომ დიახ, მომიტინგეთა ზღვა შთამგეჭდავი სანახაობაა, მაგრამ აფხაზეთს მათი არ უნდა ეშინოდეს! მათი უნდა ეშინოდეს მხოლოდ „ოცნებას“ და თუ ამ აქციებთან დაკავშირებით მმართველი გუნდის წარმომადგენლების ურთიერთგამომრიცხავი კომენტარებით ვიმსჯელებთ, საძართველოს ხელისუფლება, სულ მცირე, დაბნეულია.

მდინარე ენგურის როგორც აქეთ, ისე ახლა უკვე იქით მხარეს გავრცელებული “საომარი“ სადეზინფორმაციო პროპაგანდისტული ნარატივების მსგავსების გათვალისწინებით, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ თუკი „სერიოზულმა ადამიანმა“ აუდიოჩანაწერის ავტორს მსგავსი სიცრუე მართლაც შეატყობინა, ეს ქმედება იმავე ძალებისგან მომდინარეობს, რომლებიც ანალოგიური სიცრუით ქართველების ტვინებზე ზემოქმედებას ცდილობენ. აფხაზეთში ნებისმიერი სახის „საომარი სამზადისი“ ხომ მშვენივრად გამოდგებოდა ახლა უკვე რეალური საფუძვლის შესაქმნელად იმ სადეზინფორმაციო ნარატივისთვის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება საქართველოს ომისგან იცავს“.

ამავდროულად, ძართველებისადმი სიძულვილის მორიგი ტალღის აგორება და აფხაზეთის მოსახლეობის დაშინება ახლა ძალიან აწყობს პუტინის რუსეთს, რომელმაც მოახერხა, „დაეყოლიებინა“ სოხუმის ხელისუფლება, მაგრამ არა მოსახლეობა იმაზე, რომ აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის ნაწილად იძცეს. მალე შეიძლება, თქვან, მაგალითად, „აფხაზეთის უსაფრთხოება მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში იძნება დაცულიო“!..

სააგენტო „აქცენტი“

ირაკლი მენაღარიშვილი:

ჩვენში ანტიევროპული განწყობები არ უნდა გაძლიერდეს!

იმის მაგივრად, რომ მხარეები, როგორც „ქართული ოცნება," ისე ოპოზიციური სპექტრი, ერთად დასხდნენ და იფიქრონ პრობლემის გადაჭრის გზებზე, ერთმანეთის კრიტიკასა და ურთიერთბრალდებებში არიან. გაიჟღერა ულტიმატუმმა: ოპოზიციისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ნაწილი მოითხოვს, კონსტიტუციასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღებას — გადადგეს „ქართული ოცნება" და შეიქმნას ეროვნული თანხმობის მთავრობა. ხელისუფლებას ვადასაც უწესებენ და ამბობენ, რომ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიწყება უწყვეტი აქციები.

ამის ფონზე, რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ დიდია ალბათობა, საქართველომ ვერ შეასრულოს ევროკავშირის მოთხოვნები. ვიცით, რომ 12-პუნქტიანი რეკომენდაციიდან ერთ-ერთია ქვეყანაში დასრულდეს პოლარიზაცია, რაც საბოლოოდ, ამ პირობებში, ნამდვილად ვერ შესრულდება.

ამის შედეგად, ჩნდება კითხვები, რომ ვერ შევასრულოთ ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაცია, 6 თვის თავზე რა შედეგი ექნება საქართველოს? რა შეიძლება იყოს ყველაზე ცუდი სცენარი ქვეყნისთვის, როგორც საგარეო კურსის გათვალისწინებით, ისე შიდა პოლიტიკური ვითარების მიმართულებით?

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** აცხადებს, რომ ერთ-ერთ ცუდ სცენარად შეიძლება განიხილებოდეს საქართველოს საგარეო კურსის ცვლილება. მისი

თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი 6 თვის თავზე, ქვეყანა კვლავ ვერ მიიღებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, შესაძლოა, შეიცვალოს მოსახლეობის განწყობები და გიზარდოს ანტიევროპული დამოკიდებულება.

„გამორიცხული არაფერია, „ქართული ოცნების" პირობებში, საქართველო რუსეთისკენ ისედაც მიდის. მხოლოდ განცხადებები, რომ საქართველოს სურს ევროკავშირის წევრობა, არ არის საკმარისი. ეკონომიკური დამოკიდებულებით, საქართველო უახლოვდება რუსეთს. კიდევ უფრო მეტად დავუახლოვდებით რუსეთს, შეიძლება არ განაცხადოს ამის შესახებ, მაგრამ რაც უფრო დაიმსახურებს დასავლეთის გულისწყრომას, ავტომატურად, უფრო მეტად დავუახლოვდებით რუსეთს.

ქართველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი რამდენჯერმე მოტყუვდა. ზოგი შეგნებულად ავრცელებს დეზინფორმაციას, ზოგს მართლა სჯერა ამ ყველაფრის. შესაძლებელია, რომ პრორუსული ძალები გააქტიურდნენ, თუ დეკემბრის ბოლოს საქართველომ კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო. შემდეგ იქნება განცხადებები, რომ ევროპას არ ვჭირდებით, არც ევროკავშირში და არც ნატოში არ სურთ ჩვენი გაწევრება. ამიტომაც, შესაძლებელია გაძლიერდეს ანტიევროპული განწყობებიც", — განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, **ირაკლი მენაღარიშვილი** მიიჩნევს, რომ ევროკომისიის უარი, ავტომატურად არ ნიშნავს რუსეთისკენ გეზის აღებას. თუმცა, როგორც მან განაცხადა, ეს ქვეყნისთვის მძიმე იქნება, რადგან საქართველოში ანტიევროპული განწყობები გაძლიერდება.

„ეს ცუდი იქნება, რადგან რეალურად განაღდებული იყო შანსი, ევროპის მიმართულებით სერიოზული ნაბიჯის გადადმის თვალსაზრისით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო, საქართველოს ვინმე დასჯის, ასეთი რეპრესიული, საერთაშორისო ზომები არ არსებობს, მაგრამ ქვეყანამ დაისახა რაღაცის გაკეთება და ამის არგანხორციელება, საკმაოდ სერიოზული უსიამოვნო მომენტია.

ეს ერთმნიშვნელოვნად იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო რუსეთისკენ აიღებს კურსს, მაგრამ ვინც მსგავს განვითარებას უწყობს ხელს და მათ ინტერესშია, რა თქმა უნდა, ახალი საფუძველი გაუჩნდებათ და უფრო აგრესიულები გახდებიან. შესაბამისად, ეს საფრთხე გაიზრდება. თუმცა, რადგან ერთ დღეს ევროპის საბჭომ უარი გვითხრა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეორე დღეს რუსეთის ნაწილი გავხდებით, ასეთი ალტერნატივა არ არის. ეს მძიმე იქნება, რადგან ანტიევროპული განწყობები გაძლიერდება, რაც სრულიად მიუღებელია ჩემთვის", — განაცხადა ირაკლი მენაღარიშვილმა.

* * *

უნდა აღინიშნოს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის **შარლ მიშელის** კიდევ ერთი განცხადება, რომელმაც თქვა, რომ ევროკავშირი მზადაა, მიანიჭოს საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, როგორც კი ეს ქვეყნები საჭირო რეფორმებს განახორციელებენ.

ნიკო ჩოხელი

გუშინ დედაქალაქის მთავრობის სხდომა გაიმართა

თბილისში ვანდალიზმის ფაქტები მომრავლდა! ესღა გვაკლდა!...

დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ქალაქში ვანდალიზმის ფაქტები გახშირდა.

მისი თქმით, ახლად რეაბილიტირებულ და მოწესრიგებულ რეკრეაციულ სივრცეებში ინფრასტრუქტურის დაზიანება მიზანმიმართულად ხდება.

„ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია ვანდალიზმის მოხშირებული ფაქტები, რადგან ბოლო წლებში თბილისში ბევრი კარგი პროექტი განხორციელდა. ჩვენი დედაქალაქი დღითი დღე ლამაზდება, თუმცა, სამწუხაროდ, ახლად რეაბილიტირებულ პარკებში, სკვერებში მიზანმიმართულად ხდება ინფრასტრუქტურის დაზიანება, რაც საწყენია. ამ ყველაფერში უამრავი თანხა იხარჯება, კეთდება ჩვენთვის, ჩვენი შვილებისთვის, ამ ქალაქში მცხოვრებლებისთვის. თუ ჩვენ საპარკე ინფრასტრუქტურას დავამტვრევთ, მცენარეებს მოვიპარავთ და სახლში წავიღებთ, მაშინ ყველაფერს აზრი ეკარგება", — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ საზოგადოებას მხარდაჭერისკენ მოუწოდა, რომ ვანდალიზმის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და მსგავსი შემთხვევების დროს გულგრილი არ იყვნენ.

„მინდა, საზოგადოებას ვთხოვო, გულისხმიერება გამოიჩინონ. მნიშვნელოვანია მხარდაჭერა, რადგან ხშირ შემთხვევაში ვანდალიზმს სჩადიან არასრულწლოვანები, ახალგაზრდები, რაც სამწუხაროა. არის შემთხვევები, რომ ამ ყველაფერს უფროსები გულგრილად უყურებენ. ეს ძალიან ცუდია. ამის წინააღმდეგ ყველა უნდა გავერთიანდეთ. ყველამ ერთიანი ძალისხმევით უნდა ვეცადოთ, რომ მოვუაროთ ამ ყველაფერს, რადგან ეს თქვენი ფულით კეთდება თქვენთვის და მომავალი თაობებისთვის. დარწმუნებული ვარ, განახლებული და მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცეები ყველას მოგწონთ. ამას შენარჩუნება და მოვლა სჭირდება"...

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ყურადღება ქალაქში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც გამახვილდა. კერძოდ, აღინიშნა, რომ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა თავისუფლების მოედანზე, პუშკინის სკვერის რეაბილიტაცია დაიწყო.

„გვინდა, არსებული სივრცე სრულად მოვაწესრიგოთ. მომავალ წელს მთლიანად დაგეგმილი გვაქვს რუსთაველის გამზირის განახლება, მანამდე კი პუშკინის სკვერის რეაბილიტაცია მოხდება. პროექტის ფარგლებში, მოეწყობა დამატებით გამწვანებული სივრცეები და შეიცვლება არსებული გამწვანებული თარგების გეგმარება. განახლდება საფეხმავლო ბილიკები, განთავსდება საპარკე ინვენტარი, მოეწყობა გარე განათების სისტემა. დამატებით, დამონტაჟდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. თარგებში ჩატარდება გამწვანებისთვის საჭირო ყველა ღონისძიება: ტერიტორიაზე შევა ნოყიერი მიწის ნაზავი, დაირგვება მწვანე ნარგავები, მოეწყობა სარწყავი სისტემა და დაიგება ბალახის საფარი. სამუშაოების განხორციელება დღეს იწყება და სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდება. პროექტის ღირებულება 800 000 ლარს შეადგენს", — განაცხადა კახა კალაძემ.

ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებასთან დაკავშირებით, აბიტურიენტთა და დასაქმებული პერსონალის დროულად გამოცხადებისა და შეუფერხებლად გადაადგილების მიზნით, 4 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით, საგამოცდო ცენტრების მიმართულებით, ავტობუსების დამატებითი მარშრუტები დაინიშნება.

„№39, №173, №177, №191 და №175 საჯარო სკოლების მიმართულებით გადაადგილება შესაძლებელი იქნება მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორიიდან, ხოლო №117 საჯარო სკოლის მიმართულებით გადაადგილება შესაძლებელი იქნება მეტროსადგურ „ვარკეთილიდან". რაც შეეხება №103 საჯარო სკოლას, აღნიშნული საგამოცდო ცენტრის მიმართულებით ავტობუსი გავა მეტროსადგურ „სამგორის" ზედა გასასვლელიდან. აღნიშნული მიმართულებით ავტობუსი იმოძრავებს 10 აგვისტომდე", — განაცხადა თბილისის მერმა.

საუბრის დასასრულს, თბილისის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი — ნორა გორგასლიძე წარუდგინა და გულწრფელი მადლობა გადაუხადა...

ვატიკანმა მთელი სამყარო ქართული გალობით გააოცა!

სასულიერო სამყაროში ყველაზე დიდი დიპლომატის ილია მეორის ნატვრის აღსრულების დღე დადგა!

დღევანდელი დღე სწორედ ილია მეორეს ეძღვნება და მინდა, მას აძლევდან მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ როგორც ვატიკანში ამბობენ, სასულიერო სამყაროში ყველაზე დიდი დიპლომატის ილია მეორის ნატვრის აღსრულების დღე დადგა და წილად გვხვდა პატივი, ჩვენ ვყოფილიყავით მისი ამ სურვილის აღმსრულებლები, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის სიქსტის კაპელაში გასამართ კონცერტზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დიდი სამუშაო გასწია აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, საქართველოს ელჩმა და საქართველოში ვატიკანის ელჩმა, რომ ეს დღე დამდგარიყო. კულტურის მინისტრმა ამ დღეს ისტორიული უწოდა. კერძოდ, მისივე თქმით, კიდევ უფრო მეტი ემოცია გვიპყრობს, რომ ვიცით, ეს არის ისტორიული დღე ჩვენი ქვეყნის, ქართული კულტურის ისტორიაში. წულუკიანმა აღნიშნა, რომ საამისოდ კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე კი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა.

„როგორც ვატიკანის პრესა წერს, ამ დღეებში, როდესაც 1980 წელს ილია მეორე ესტუმრა ვატიკანსა და რომის მაშინდელ პაპს, სწორედ მაშინ დაიგეგმა, რომ ეს ურთიერთობა არ ყოფილიყო მხოლოდ ერთი შეხვედრის თემა და კულტურული ურთიერთობები გაგრძელებულიყო. როგორც ამბობენ, მას შემდეგ არაერთი მცდელობა იყო და 2019 წელს რომის პაპმა ფრანცისკემ მოიწვია ილია მეორე თავისთან, ვატიკანში და უთხრა, რომ 1980 წელს თქვენი ვიზიტის შემდეგ 40 წელი გადის და მოდით, ეს იუბილე ერთად აღვნიშნოთო. ამ დროს დაემთხვა პანდემია და მოვედით დღემდე. ამიტომაც, დღეს ჩვენ ილია მეორის ვატიკანში ვიზიტის 40 წლისთავს აღვნიშნავთ და იმასაც, რომ პატრიარქის სურვილი სწორედ მის მიერ დაფუძნებულ სამების საკათედრო საპატრიარქო გუნდს ემღერა ვატიკანში. ამის აღსრულება ხდება და ძალიან ვწუხვართ, რომ თავად პატრიარქმა ჩვენთან ერთად ყოფნა ვერ შეძლო“...

„სიქსტის კაპელას“ შემდეგ, ქართული საგალობლები წმინდა პეტრეს ტაძარშიც შესრულდა!

„ჩვენ ვაჩვენეთ მაგალითი, თუ როგორ შეიძლება, სხვადასხვა რწმენის ადამიანი მეგობრობდეს, ერთად მღეროდეს და აჩვენებდეს იმ ჰარმონიას, რომელიც, ალბათ, ამ კონტინენტს გადაარჩენს. ბევრს არ ეგონა, რომ ეს შესაძლებელი იყო, ეს დღე დადგა, ყველას გილოცავთ. 29 ივნისს, ჩვენ უკვე შესაძლებლობა გვექნება, რომ ილია მეორის ავტორობით, „ავე მარია“ და მეორე საგალობელი – „შენ ხარ ვენახი“ წმინდა პეტრეს ტაძარში გაჟღერდეს“...

* * *

29 ივნისს ვატიკანში, „სიქსტის კაპელაში“ სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა კონცერტი გამართა. საპატრიარქო გუნდის კონცერტს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი ესწრებოდნენ. როგორც ცნობილია, კონცერტი პრეზიდენტსა და რომის პაპს შორის გასულ წელს, წმინდა საყდარში ოფიციალური ვიზიტისას მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გაიმართა. სიქსტის კაპელაში ქართველებმა პირველად იმღერეს. საპატრიარქო გუნდის კონცერტი ვატიკანის ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა.

„სიქსტის კაპელაში“ ქართული გალობის მოსმენა ის ემოციური მომენტია, რომელიც ჩვენს ისტორიაში დარჩება

„დღეს საქართველოს კულტურისა და ჩვენი ქართული ტრადიციებისათვის ისტორიული საღამოა. „სიქსტის კაპელაში“ ქართული გალობის მოსმენა ის ემოციური მომენტია, რომელიც ჩვენი ისტორიის წიგნებში დარჩება. მადლობა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდს“, – წერს სალომე ზურაბიშვილი.

სალომე ზურაბიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ „სიქსტის კაპელაში“ სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის კონცერტი გასულ წელს, მისი ვატიკანში ვიზიტის დროს დაიგეგმა და პაპ ფრანცისკეს მადლობას უხდის.

„შარშან, როდესაც წმინდა საყდარს ოფიციალური ვიზიტით ვესტუმრე, მის უწმინდესობა პაპთან შეხვედრისას ვისაუბრეთ დღევანდელი ლამაზი საღამოს დაგეგმვის შესახებ, ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის აღსანიშნავად. დღეს ემოციური მომენტის მომსწრენი გავხდით, რომელიც ჩვენს მოგონებებში დარჩება. ჩემი უდიდესი მადლიერება პაპ ფრანცისკეს“.

სალომე ზურაბიშვილი: სწორედ ეს არის ეროვნული თანხმობა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ვატიკანში საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა. სიტყვით გამოსვლისას სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს მიმართა.

„მინდა, აქედან (ვატიკანიდან) მივმართო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს!

თქვენო უწმინდესობავ, თქვენ გუშინ მიანიჭეთ სრულიად საქართველოს დიდი ბედნიერება. როცა თქვენი „ავე მარია“ გაჟღერდა „სიქსტის კაპელაში“, მაშინ ჩვენ თქვენთან ერთად და თქვენ ჩვენთან ერთად დაამტკიცეთ, რომ ჩვენ ევროპაში ვართ, ევროპის გულში და ეს ყველასთვის უდიდესი სიამაყე და უდიდესი სიხარული იყო. სიხარული იმ დროს, როცა სასიხარულო ბევრი რამ არ არის ამ ქვეყნად.

ეს არის ის ნიშანი, როცა საქართველო შემოდის „სიქსტის კაპელაში“, ეს არის დაგვირგვინება ჩვენი ორი სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობებისა, რომლის 30 წლისთავსაც აღვნიშნავთ დღეს, და როგორც ჩვენი პატრიარქი ამბობს, ეს ჩვენი ორი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ძმობის დაგვირგვინებაცაა.

მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ დიად საქმეში ჩვენი პატარა წვლილი შევიტანეთ და ბედნიერი, რომ დასტური მისი უწმინდესობა, რომის პაპის ფრანჩესკესგან სწორედ მე მომეცა, როცა შარშან ოფიციალური ვიზიტით აქ ვიმყოფებოდი და სწორედ ამ დარბაზში, ერთი წლის წინ, გამოვაცხადეთ ეს უდიდესი და სასიხარულო ამბავი.

კიდევ უფრო ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ საქმის აღსრულებას ყველა სახელმწიფო უწყებების ჩართულობა სჭირდებოდა: დიდი მადლობა ქალბატონ მინისტრს, საპატრიარქოს, საპატრიარქოს გუნდს, საზოგადოების წარმომადგენლებს, ყველას, ვინც ამაში მიიღო მონაწილეობა. ეს არის ის, რაც დღეს ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია: როცა ჩვენ ერთად ვაკეთებთ საქმეს, ის საქმე გამოდის და გამოდის ყველაზე მაღალ დონეზე. ეროვნული თანხმობა სხვა არაფერია, სწორედ ეს არის ეროვნული თანხმობა და ამ ეროვნულ თანხმობით შემოვაბიჯეთ ევროპაში და ასე შევაბიჯებთ კიდევ ევროპაში, თუ ვიქნებით ერთიანნი და დავივიწყებთ ქიშპობას“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პრინცი რაიმონდო უმბერტო მარია ორსინი დ'არაგონა (სიკვდილის შემდეგ) ღირსების მედლით დაჯილდოვდა

საქართველოს პრეზიდენტმა პრინცი რაიმონდო უმბერტო მარია ორსინი დ'არაგონა (სიკვდილის შემდეგ) ღირსების მედლით დააჯილდოვა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილმა პრინცი საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის ურთიერთობების განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და საქართველოში მრავალგზის განხორციელებული საქველმოქმედო საქმიანობისათვის დააჯილდოვა. ქართული სახელმწიფო ჯილდო პრეზიდენტმა მის მეუღლეს, წმიდა საყდართან საქართველოს ელჩს, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონს და შვილებს, ლელიო, ლუიზა და დოროთეა ორსინებს ვატიკანში სამუშაო ვიზიტისას გადასცა.

„პრინცი რაიმონდო ორსინის დაკარგვა დიდი ტკივილია როგორც საქართველოს, ასევე იტალიისთვის. ეს ადამიანი ორი ერის ერთობას წარმოადგენდა. ეს გახლდათ ადამიანი, რომელმაც საქართველოს ისტორიაში, ყველაზე რთულ პერიოდში, საქართველოსა და თითოეული ქართველის საკეთილდღეოდ საქველმოქმედო საქმიანობა დაიწყო, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუწყვეტია. ის გახლდათ რომში ერთ-ერთი პირველი საქველმოქმედო და კულტურული ორგანიზაციის „წმინდა გიორგის ფარი“ დამფუძნებელი. იმ ბავშვებს დღესაც ახსოვთ ის დახმარება და თანადგომა, რომელიც პრინცმა ორსინმა მათ, როგორც ონკოლოგიურ პაციენტებს აღმოუჩინა.

პრინცმა რაიმონდო ორსინიმ დიდი წვლილი შეიტანა, განამტკიცა და გააძლიერა საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის ურთიერთობები. ამ და კიდევ ბევრი საპატიო და ღირსშესანიშნავი მიზეზის გამო, გადავცემ მის ორდენს მეუღლესა და შვილებს“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. წმინდა საყდართან საქართველოს ელჩმა ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს მისი მეუღლის საქმიანობის დაფასებისთვის და აღნიშნა, რომ მისი ოჯახი უკვე 30 წელია, აძლიერებს ქვეყნებს შორის ამ ურთიერთობებს. დაჯილდოების ცერემონია იტალიაში საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე გაიმართა.

ფერთა სიმფონია უიშვიათეს ნაქარგებში

2 ივლისამდე თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს შესაძლებლობა ეძლევათ, დატკბნენ ვერნისაჟზე წარმოდგენილი ულამაზესი ნაქარგებით, რომელთა ავტორიც თვითნასწავლი მხატვარი, აწგარდაცვლილი ხელოვანი ვენერა ზაალიშვილი-ჯიგუტი გახლავთ. ეს გამოფენა იმითაცაა საინტერესო, რომ ბიბლიურ თემებზე შექმნილი ულამაზესი სურათები ხელით ნაქარგობის გრწყინვალე ნიმუშებია და მცირე ნაწილს წარმოადგენს იმ უამრავი ნაშრომიდან, რომელიც ქალბატონმა ვენერამ სიცოცხლის მანძილზე შექმნა და უშურველად გააჩუქა ახლობელ-მეგობართა შორის, მრავალი კი საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტერს შესწირა. მისი ბიბლიური ნაქარგობები დავანებულია ფოკას დედათა მონასტერში, ალავერდისა და ნიკორწმინდის ტაძრებში, თბილისის რამდენიმე ეკლესიაში.

ახლა რამდენიმე სიტყვით მოგითხრობთ ხელოვანის ცხოვრების გზაზე, რომელსაც წელს შემოდგომაზე 85 წელი შეუსრულდებოდა. ვენერა ზაალიშვილი დაიბადა თბილისში 1937 წლის 18 ნოემბერს, მშენებელ-ინჟინრის ოჯახში. ხელსაქმისადმი ინტერესს ბავშვობიდანვე იჩენდა. სკოლაში სწავლის დროს დაეუფლა ქსოვას და მის მიერ შექმნილი ფარდაგები და ხალიჩები, ორიგინალური სუფრები, ფერადი ქსოვილები და ჩასაცმელები ახლობელთა საჩუქრებად იქცა. სკოლის დამთავრებისთანავე 1956 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო მევენახეობის, მეღვინეობისა და მეხილეობის სამეცნიერო ინსტიტუტში. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი სადისერტაციო თემაზეც მუშაობდა. ახალგაზრდამ შექმნა ოჯახი ინჟინერ ლევან ჯიბუტთან, ახალგაზრდა წყვილს ვაჟი, მამის მოსახელე ლევანი და ქალიშვილი სოფიკო შეეძინათ.

ღრმადმორწმუნე, ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი შვილებზე ზრუნვასა და ოჯახის მოვლაზე გადაერთო, მიატოვა სამსახური, სადისერტაციო ნაშრომიც შეაჩერა და მცირე დროს ქარგვას ანდომებდა, რომელიც თავად შეისწავლა და როგორც უყვარდა თქმა – ამაში ღვთის ხელი ერია – **„ფერებს თავად უფალი მკარნახობსო“.**

1995-2015 წლებში ვენერა ზაალიშვილი-ჯიბუტმა ასზე მეტი საოცარი ნაქარგობა შექმნა, თითქმის ყველა რელიგიურ თემაზე. საოცარი ფერები, ქსოვის განსაკუთრებული ტექნიკა, ხალასი პალიტრა მომნუსხველ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველებზე. პირველი გამოფენა საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ვენერა ზაალიშვილი-ჯიბუტი, სამწუხაროდ 2016 წელს გარდაიცვალა.

ამუამად პეტრიაშვილის ქუჩაზე (ყოფილი ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე, შესასვლელი მელიქიშვილის ქუჩიდან) ეს უიშვიათესი ნაშრომების გამოფენა კვირის გარდა ყოველდღე მასპინძლობს მნახველებს. ყველას ექნება შესაძლებლობა, დატკბეს ამ უნიკალური ნიჭის მქონე ქალბატონის უკვდავი ხელოვნებით.

უახლოესი მეგობრები





...და ციმციმებდა თაფლის სანთელი

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მწიგნობართა და მწერალთა ასოციაციის თაოსნობით გაიმართა გამოჩენილი პოეტის **რეზო ამაშუკელის** ხსოვნის საღამო, რომელიც გახსნა მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ ნანა ჭიჭინაძემ. მან დამსწრეთ გააცნო გზავნილი თბილისიდან. „ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, დიდი მადლობა რეზო ამაშუკელის გახსენებისთვის. გიხდით ბოდიშს, რომ ვერ მოვახერხეთ დაპირების შესრულება და ვერ ჩამოვედით. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა! შვილი ბაია შვილიშვილი რეზო (უმცროსი) ამაშუკელები“.

ღონისძიებას უძღვებოდნენ **ნანა ჭიჭინაძე** და დედოფლისყაწროს მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარე, ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელი **გიორგი ნატროშვილი.**

საღამოზე დიდ პოეტთან ერთად მოიგონეს დედოფლისწყაროელი, უდროოდ წასული შემოქმედები, რაიონის დამსახურებული ადამიანები, პოეტები, რომელთა ხსოვნასაც პანდემიის გამო შესაფერისი პატივი ვერ მიაგეს.

დამსწრე საზოგადოება დალოცა დეკანოზმა ნიკოლოზმა.

რეზო ამაშუკელზე ვრცლად ისაუბრა დედოფლიწყაროს სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა **ნუნუ ცაკაშვილმა,** მწიგნობაპრთა ასოციაციის წევრმა **ლენა ღარიბაშვილმა,** მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა **ლალი გურასპაშვილმა,** დედოფლისწყაროს მერიის უფროსმა სპეციალისტმა **ნანული ნატროშვილმა.**

დედოფლიწყაროს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდა საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის **თამარ თამაზაშვილის** გამოსვლა სავსე იყო ტკივილითა და მწუხარებით ყველა იმ ადამიანის დაკარგვის გამო, ვინც ამ ვერაგმა ვირუსმა შეიწირა.

ილია მარტყოფილიშვილი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი: „დროული და საჭირო საღამო გაიმართა, რომელიც რეზო ამაშუკელის ხსოვნას მიეძღვნა. პოეტის სიცოცხლე მის ლექსებში გრძელდება, თუ ჩვენ ამ ლექსებს ვასწავლით ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს. ამით უკვდავმყოფთ მას“.

ჩვეული ოსტატობით და მომხიბვლელობით წაიკითხეს რეზო ამაშუკელის ლექსები პოეზიის დიდმა ქომაგმა და დეკლამატორმა **ლელა ბიღლიაშვილმა,** მუზეუმის თანამშრომელმა **ნინო პოპიაშვილმა,** პოეტებმა **თამაზ წიკლაურმა, თამაზ ნასრაშვილმა** და თავად ამ პროექტის ავტორმა **ნანა ჭიჭინაძემ.**

გარდაცვლილთა სულების საოხად მგალობელთა გუნდმა **ნინო ნიკვაშვილის** ხელმძღვანელობით შეასრულეს საგალობლები, ხოლო რაიონის ცნობილმა მომღერალმა **გაიოზ ხუციშვილმა** დამსწრეთ რეზო ამაშუკელის ლექსზე „ახალ წლის ღამე 1960“ დაწერილი სიმღერა „მე ვარ თამადა“ უმღერა.

ღონისძიება შეაჯამა და ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა მერის პირველმა მოადგილემ **დავით ფხოველიშვილმა.**

ღონისიძების ორგანიზატორებს და სპონსორებს სამახსოვროდ გადაეცათ რეზო ამაშუკელის ერთტომეული.

...და ციმციმებდა თაფლის სანთელი დარბაზის შუაგულში მათი სულების საოხად და უკვდავსაყოფად.

მარიამ პოპიაშვილი,

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი.

აჭარაში ტურიზმის მაჩვენებელი სრულად არის აღდგენილი

აჭარის მთავრობის მეთაურმა თორნიკე რიჟვაძემ, გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე ტურიზმის მიმართულებით არსებული პოზიტიური ტენდენციების და აღდგენის შესახებ გააკეთა გაცხადება.

„შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ აჭარის რეგიონში, განსაკუთრებით კი ბათუმში სრულად არის აღდგენილი 2019 წლის ტურისტული ნაკადები, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი გეგმა, რომელიც ტურიზმის აღდგენას ეხებოდა, სრულად მოქმედებს. მაისის თვეში ჩვენ გვქონდა 87 %-იანი აღდგენა და უკვე, ივნისის ბოლო დღეების მონაცემებით, სრულად აღდგენილია ტურიზმი აჭარაში. ასევე მინდა გითხრათ, რომ ყოველდღიურად იზრდება როგორც აეროპორტების დატვირთვა, ასევე ემატება ახალი საერთაშორისო მიმართულებები, რეისები და ყოველთვიურად 370 საერთაშორისო რეისი შესრულდება ბათუმის აეროპორტში“ – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

რა გაეწყობა, დროა ასეთი, მამაკაცების გაქალების, დედაკაცების – გამამლების...

კვირა ისე არ ჩაივლის, რაღაც „სასიხარულო“ ამბავი არ მოგვიტანოს. ასე იყო ახლაც. ჯერ კვირა არ დამთავრებულა და უკვე ორი „სიხარული“ მივიღეთ – ორივე რუსეთს ეხება და ამ ორიდან ერთი, მის პრეზიდენტ პუტინს.

დავიწყოთ პუტინით. ქართული მედია, უკრაინულზე დაყრდნობით, გვატყობინებდა პუტინის ავადმყოფობას. თურმე ისეთი რამ შეჰყრია, ძნელად რომ იტანს ადამიანი. ოპერაციამაც ვერ უშველა და ექიმებმა გონს ვერა და ვერ მოიყვანეს.

უკვე მერამდენედ ვისმენთ ზოგიერთ ქართველთა სანატრელ ამბებს პუტინის ავადმყოფობასთან დაკავშირებით, მაგრამ არა და არ მართლდება. დავუშვათ, გამართლდა. იქნება სხვა პუტინი, არა ამ გვარის მატარებელი და რა შეიცვლება? კრემლში არავინ მოვა ისეთი, რომელიც ჩვენი და უკრაინის საქმეს საკუთარი ქვეყნის საქმეზე წინ დააყენებს.

ქართველიც რომ გახდეს რუსეთის პრეზიდენტი, ისიც იძულებული იქნება თავისი ქვეყნის, ანუ რუსეთის საქმე აკეთოს. მე-20 საუკუნის ისტორია განა ამაზე არ მეტყველებს? ასე, რომ უმჯობესია ჩვენი საქმე ვაკეთოთ, თუ გაკეთების სურვილი და უნარი შემოგვრჩა, ნაცვლად ჭორების გავრცელება-მოსმენისა.

მეორე „სასიხარულო“ ამბავი ის იყო, ქართულმა მედიამ რომ გვამცნო რუსეთის დღესასწაულთან, „რუსეთის დღესთან“ დაკავშირებით – პუტინს დღესასწაული თითო-ოროლა ქვეყნის მეთაურმა მიულოცაო. „კომაში“ ჩავარდნილ პუტინს მისალოცი წერილების გაცნობის თავი რომ არ ჰქონდა, იმიტომ არ გაუგზავნეს დეპეშა, ალბათ.

ამ ინფორმაციაში, ქართული მედიის მიერ მოწოდებულში, დიდი „სიბრძნეა“ ჩაქსოვილი. დღესასწაული არ მიულოცეს, ვინაიდან კაცობრიობის მიერ რუსეთი და მისი პრეზიდენტი კეთროვნებად არიან შერაცხილნი და მათ აღარავინ ცნობსო. რას გვეუბნება სინამდვილე?

საწინააღმდეგოს! პეტერბურგის 25-ე საიუბილეო ეკონომიკური ფორუმი განა ამის დამადასტურებელი არ იყო? ფორუმში 130 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობდა – ბიზნესმენები, სახელმწიფო მოხელეები, ექსპერტები ეკონომიკის დარგის მეცნიერები, მედიის წარმომადგენლები, სულ 1000-ზე მეტი სტუმარი.

კაცობრიობიდან მოკვეთილს არც სანკტ-პეტერბურგი ჰგავდა და არც რუსეთის პრეზიდენტი – ფორუმზე მეტად საყურადღებო სიტყვით გამოსული და დისკუსიაში მონაწილე. სანკტ-პეტერბურგის ფორუმი დამამტკიცებელია იმისა, რომ რუსეთის მსოფლიოდან მოკვეთა ისეთივე აბსტრაქციაა, როგორიც პუტინის „კომაში“ ჩავარდნა. მკითხველმა განსაჯოს, თუ რამდენად შესაძლებელია დედამიწის ერთი მეექვსედის პატრონი რუსეთის უგულებელყოფა, მით უმეტეს, უგულებელყოფა, როდესაც ამ ერთ მეექვსედზე იმდენი წიაღისეული სიმდიდრეა და ისეთი სამეცნიერო პოტენციალი, ურომლისოდაც დანარჩენი მსოფლიოს არსებობა ერთობ გაჭირდება.

ბევრს ცდილობენ აშშ-ევროკავშირელები ეკონომიკური სანქციებით, ხელოვნური ბარიერებით შეაჩერონ რუსეთის განვითარება, მოკვეთა, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. სანქცირებულმა რუსეთმა ა.წ. 24 თებერვლიდან მოყოლებული, ნაცვლად დასავლეთისთვის ნანატრი ეკონომიკური კრიზისისა, ეკონომიკური პროფიციტი დაადასტურა. მარტო ნავთობით ვაჭრობიდან მან 100 მილიარდი დოლარი მიიღო, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვაზე.

ნავთობის ემბარგო, დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული, დიდ შემოსავალს იძლევა, ვინაიდან ნავთობის ექსპორტის შემცირება ნავთობის ფასების ზრდას იწვევს. ნავთობის შემცირებული რაოდენობის ექსპორტმა კი მეტი დოლარი მოუტანა რუსეთს.

ახლა ვიკითხოთ – ვინ ყიდულობს რუსულ ნავთობს?

უპირველესად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ანუ ისინი, ვინც მკაცრი სანქციები დაუწესეს რუსეთს. რას ნიშნავს ეს? უპირველს ყოვლისა, გაუთვალისწინებელ, ქარაფშუტულ ნაბიჯს, გადადგმულს აშშ-ის ადმინისტრაციის, კონგრესის, ევროკავშირის პოლიტიკოსთა მიერ.

კიდევ რას ნიშნავს ეს პოლიტიკა? კიდევ იმას, რომ ეკონომიკური სანქციების დაწესება ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ, მართალია, აფერხებს სანქცირებულის განვითარებას, მაგრამ ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით ვერ აჩოქებს მას.

ნახევარი საუკუნეა, რაც კუბა სანქციებში ცხოვრობს, მაგრამ სიცოცხლე არ შეუწყვეტია, არ დაუჩოქია მეზობელი ამერიკის წინაშე და არ უთხოვია, მისთვის სანქციები მომიხსენი და ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც გინდაო. 1979 წლიდან ცხოვრობს ირანი სანქციებში, მაგრამ მასაც სიცოცხლე არ შეუწყვეტია. პირიქით, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით განავითარა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

გლობალიზაციის ავტორი, აშშ ნაცვლად, თვით ამ სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სანქციებს კი არ უნდა მიმართავდეს საკუთარი ხუშტურების დასაკმაყოფილებლად, არამედ პირიქით, საერთო ფერხულში ჩართვით უნდა ცდილობდეს მისთვის „ჯიუტი“ ქვეყნის მორჯულებას. მაგრამ არა, ამას ვერ გააკეთებს, ვინაიდან გამკეთებელი, ანუ მოაზროვნე ეკონომისტი, პოლიტიკოსი აღარ ჰყავს. პოლიტიკა კი ისეთი რამაა, აზროვნებას რომ მოითხოვს – სიღრმისეულს, განათლებაზე დაფუძნებულს. სამწუხაროდ, ასეთთა ნაკლებობა არა მარტო საქართველოშია, არამედ იქაც, ჩვენ მიერ ნანატრ ევროატლანტიკურ სივრცეში. გადახედეთ აშშ-ის პოლიტელიტას, თეთრი სახლის აპარატს, კონგრესმენებს – დაბოღმილ, უჭკუო, ავანტიურისტ, გონგამოცლილ, გაუნათლებელ ადამიანთა მიერ შექმნილ თაიგულს – ცუდი სურნელის მატარებელს, ამასთანავე მსოფლიოს აწმყოსა და მომავლისთვის ავის მომტანს.

მარტო თეთრი სახლის პრესმდივნის კარინ ჟან-პიერის გამონათქვამები რად ღირს, ლესბოსელი ქალბატონის, ვაჟის როლის შემსრულებლის, ქალზე დაქორწინებულის. უცოდინრობაში მან წინამორბედ ფსაკისაც გაუსწრო.

ეს ქალა-ბიჭა ერთმანეთში ურევს ვენესუელასა და ბრაზილიას, რაც ცნობილი გახდა ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტების ქვეყნების სამიტზე, რომელიც ლოს ანჟელესში გაიმართა. შავკანიანი „ვარსკვლავის“ „ნიჭიერების“ და „სიტყვაკაზმულობის“ უშრეტი მაგალითები წინ გვაქვს, ისე, როგორც დემენციით შეპყრობილი პრეზიდენტის პრეზიდენტობის დარჩენილი 2 წელი და კიდევ მოსალოდნელი 4. შავმა „მარგალიტმა“ კარინმა გვაუწყა, რომ ბაიდენი აპირებს მეორე ვადით პრეზიდენტობისთვის არჩევნებში მონაწილეობას. დღეს რომ ჩატარდეს არჩევნები, ბაიდენი ვერაფრით მოიპოვებს ამომრჩევლების მხარდაჭერას, ვინაიდან მისი პრეზიდენტობის 2 წელი კატასტროფული გამოდგა აშშ-თვის.

შედეგიც სახეზეა – ბაიდენის რეიტინგი 33%-ია, რაც აშშ-ს პრეზიდენტობის ისტორიაში ყველაზე დაბალი ნიშნულია.

რამ გამოიწვია პრეზიდენტის ესოდენ დაბალი პოპულარობა? გონგამოცლილმა პოლიტიკამ, წარმოუდგენელმა ანტირუსულმა ისტერიამ, ანტირუსულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, რუსეთ-უკრაინის ომში უკრაინისთვის განუზომელმა პოლიტიკურ-სამხედრო-ფინანსურმა დახმარებამ და მრავალმა სხვა მცდარმა გადაწყვეტილებამ, რომელმაც საწვავზე ფასები საშუალოდ 5 დოლარამდე გაზარდა, ზოგიერთ შტატში უფრო მეტად, ინფლაცია 8,9%-ამდე ასწია.

კვების პროდუქტებზე ფასების ყოველდღიურმა ზრდამ, პროდუქტების დეფიციტმა, განსაკუთრებით ბავშვთა კვების, უმუშევართა რაოდენობამ და მასთან ერთად გრძელმა რიგებმა უფასო სასადილოებში შეაღონა ხალხი.

ყველაფერ ამას ბაიდენი პუტინს აბრალებს – ის არის დამნაშავეო. ბაიდენმა ისე გააუარესა აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობა, რომ ბირთვულ ომზე ლაპარაკი არაჩვეულებრივიდან, ჩვეულებრივზე დავიდა. აშშ-ის მოსახლეობა, ისე, როგორც ჩვენი, ინფორმაციულ ვაკუუმშია მოქცეული. შედარების შესაძლებლობა წაგვართვეს ჩვენც, აშშ-ევროკავშირის მოსახლეობასთან ერთად. ამერიკელი ფილოსოფოსი ჰიუმ ჰომსკი აცხადებს, რომ მედიური ცენზურა უმაღლეს დონეზეა აყვანილი. მოსახლეობას კვებავენ ცრუ ინფორმაციით, ალტერნატიული არ ჩანსო, რაც იყო – RT-ს სახით, ისიც გაუთიშეს მოსახლეობასო. განა ანალოგიური ვითარება არ არის ჩვენში? აქაც ხომ გაუთიშეს მოსახლეობას რუსეთის საინფორმაციო არხები?

ქართველებსაც ისე, როგორც ევროპელებსა და ამერიკელებს, უკრაინულ ინფორმაციას აწვდიან – ტყუილების მანქანაში დამზადებულს. ნათქვამია, იგებს ის, ვინც ინფორმაციას დროულად ფლობს – არა ტყუილს, არამედ მიუღებელს, ნამდვილს.

საქართველოს მოსახლეობამ არ იცის რა ხდება რუსეთ-უკრაინის ფრონტზე. რაც იცის, ისაა – რუსეთი რომ მარცხდება და გამოუვალ დღეშია ჩავარდნილი. საქართველოს მოსახლეობამ იცის, რომ უკრაინა იგებს და სულ მალე აგრესორს განდევნის საკუთარი მიწა-წყლიდან.

საქართველოს მოსახლეობამ არ იცის, რომ რუსეთს, უკრაინის ტერიტორიის 140000 კვ. კმ აქვს დაკავებული და დანარჩენის დაკავებისთვის წინ მიიწევს. საქართველოს მოსახლეობამ არ იცის, რომ რუსეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე უკვე მოქმედებს დროებითი ადმინისტრაცია ისე, როგორც რუსული რუბლი, რუსული ტელეგადაცემები, რომ იქაური მოსახლეობა გრძელ რიგშია ჩამდგარი რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად. საქართველოს მოსახლეობამ არ იცის, რომ ჰუმანიტარულ ტვირთს, რომელსაც ის უკრაინელებს უგზავნის, ქორვაჭრების შემწეობით, ბაზრებში იყიდება. საქართველოს მოსახლეობამ არ იცის, რომ უკრაინის პრეზიდენტი და მისი გუნდი 24 საათში 200 მილიონ დოლარს იღებს დასავლეთიდან – დასავლურივე წყაროების გასაჯაროებული ინფორმაციით.

იკითხავთ, – რატომ აძლევენ ზელენსკის ფულს? გიპასუხებთ – ომის გაგრძელებისთვის, რათა რუსეთი დაიქანცოს ეკონომიკურად, სამხედრო თვალსაზრისით და დამარცხდეს.

რუსეთი უნდა დამარცხდეს – ასე გაიძახიან აშშ-ევროპაში. იქ არვინ უყურებს, შეძლებს თუ არა უკრაინა ამ დავალების შესრულებას. უკრაინა ისეა დაუძლურებული, სულ მალე სულს განუტევებს. ზელენსკის განცხადებით, უკრაინა დღეში 200-დან 500 სამხედროს კარგავს. უკვე მერამდენედ გამოცხადდა მობილიზაცია. მამაკაცებს 60 წლის ასაკის ჩათვლით ფრონტზე ერეკებიან. ყბადაღებული გამოთქმა – ომი ბოლო უკრაინელამდე, ძალაშია.

ევროატლანტიკური სივრცე რუსეთს ეომება უკრაინელთა ხელით, უკრაინის ტერიტორიაზე. უკრაინის დამარცხება – ნატოს, ევროკავშირის და აშშ-ს დამარცხებაა. რომ ამას ადგილი არ ჰქონდეს, დასავლური იარაღის წვიმაა, თანაც კოკისპირული, მიმართული რუსეთის წინააღმდეგ და არა მარტო იარაღი, არამედ ცოცხალი ძალაც – ამერიკელი, ევროპელი, ახლო აღმოსავლელი – ბოევიკების“ სახით. ნატო-რუსეთის შეტაკებამდე ერთი ნაბიჯია დარჩენილი.

ამ დროს რასა იქმს ქართველობა? ევროკავშირში შესასვლელად ისტერიას აწყობს, მასთან ერთად მიტინგებს. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ისეთი ვაიუშველებელია ატეხილი პოლიტიკასა და მედიაში, უარესს რომ არვინ ელოდა. ერთი მეტიჩარა ექსპერტი გოგონა, პირზე ქაფმორეული აცხადებდა, რომ კანდიდატობა და შემდეგ წევრობა ნიშნავს უფასო სამედიცინო მომსახურებას, უფასო სწავლას, მაღალ პენსიებს, შესანიშნავ სოციალურ პირობებს და ა.შ.

ვუყურებ „ევრონიუსს“ და იმ გოგონას ნათქვამის ფონზე ვხედავ მილანის უგრძელეს რიგს, უფასო სასადილოსთან, ისე, როგორც სუპერმარკეტების დახლებზე დალაგებული კვების პროდუქტების გასამმაგებულ ფასებს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ინფლაციამ საშუალოდ თითქმის 10% შეადგინა – არნახული ევროპისთვის ბოლო 40 წლის განმავლობაში. ხალხი, რომელსაც კვების პროდუქტების შეძენის სახსრები არა აქვს, ქურდობს. ქურდობამ ისეთი მასობრივი სახე მიიღო, რომ გამყიდველებმა ხორცი ჩიპიან კონტეინერებში ჩადეს, მაღაზიიდან გატანისთანავე რომ წივილით ატყობინებს ყველას – მიპარავენო!

იკითხავთ – რისი ბრალია ეს? უჭკუოდ დაწესებული სანქციების. ვისაც სანქციები დაუწესეს, გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე დამწესებელი. როგორ მოახერხეს ეს აშშ-ევროკავშირმა? უთავობით, უცოდინრობით, ზერელე პოლიტიკოსთა ხელისუფლებაში მიყვანით. გადახედეთ ევროკავშირის ქვეყნებს. 9-ში პრემიერ-მინისტრებად, გენდერული პრინციპით შერჩეული ქალი – პრემიერ-მინისტრია, უფრო სწორად ქორფა ასაკის მოლაქლაქე გოგონა, რომელთა პოლიტიკური, მით უმეტეს საერთო განათლება თანამდებობასთან სრულიად შეუთავსებელია.

ერთადერთი რითაც ისინი გამოირჩევიან – მოჭარბებული ანტირუსობა და აგრესიაა. აი, ამ აგრესიით ცდილობენ ისინი დაამტკიცონ თავიანთი პრიორიტეტულობა საწინააღმდეგო სქესზე. რომ ისინი უფრო ძლიერები, მკაცრები, მიზანმიმართულები არიან, ვიდრე მამაკაცები.

აგრესიული ქალებიდან დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ელიზაბეტ ტრასს ვერავინ აჯობებს. სხვათა შორის, მას ევროპელი მამაკაცი კოლეგებიც ჩამორჩებიან. რა გაეწყობა, დროა ასეთი – მამაკაცების გაქალების, დედაკაცების – გამამლების. ლგბტ-ობის ღრუბლები იპყრობს ევროკავშირ-აშშ-ის ზეცას – ესოდენ სანატრელს ქართული პოლიტელიტის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისთვის. აბა თქვენ იცით, რაც შეიძლება ხმამაღლა იყვირეთ – ევროკავშირში გვინდაო, იქნებ იქაურმა მავანმა ლგბტ-ელმა გაიგონოს თქვენი განწირული ყვირილი და კარი გაგიღოთ, რითაც თქვენც გიხსნით და ჩვენც – უთქვენოდ „დაობლებულებს“.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი

რუსული გაზით ვაჭრობა...

ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისარმა კადრი სიმსონმა განაცხადა, რომ რუსეთიდან ევროკავშირში გაზის მიწოდების სერიოზული შეფერხებებია მოსალოდნელი.

„სიტუაცია უარესდება. მიუხედავად იმისა, რომ (ევროკავშირის) წევრ ქვეყნებში გაზის მიწოდება ამჟამად უზრუნველყოფილია, (გაზის) მიწოდების უსაფრთხოების რისკები უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე“, – აღნიშნა ევროკომისარმა.

კადრი სიმსონის თქმით, გაზის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები არ არის მყისიერი და ევროპის გაზის სისტემამ კარგად მოახდინა რეაგირება შექმნილ ვითარებაზე.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მესამე მსოფლიო ომის თავიდან ასარიდებლად

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ბრიტანეთი და მისი მოკავშირეები „1937 წლის მომენტის“ წინაშე არიან და ყველაფერი უნდა გააკეთონ მესამე მსოფლიო ომის თავიდან ასარიდებლად, – ამის შესახებ ბრიტანეთის არმიის გენშტაბის ხელმძღვანელმა, პატრიკ სანდერსმა განაცხადა. ბრიტანელი გენერლის თქმით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და მისი „ექსპანსიონისტური ამბიციები“ უდიდეს საფრთხეს უქმნის სუვერენიტეტს, დემოკრატიას და ძალადობის გარეშე ცხოვრების თავისუფლებას.

დასავლური მედიის ცნობით, ბრიტანელი გენერალი ლონდონში, არმიის კონფერენციაზე გეგმავს სიტყვით გამოსვლას, სადაც განაცხადებს, რომ მისი ერთადერთი მიზანია **„ჯარის მობილიზება, რათა დაეხმაროს ევროპაში ომის გავრცელების თავიდან აცილებას, ბრძოლის და გამარჯვებისთვის მზადყოფნით ნატოს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ერთად“.**

თეთრ სახლში პესიმიზმია

„სიენენის“ ცნობით, თეთრ სახლში უკვე აღარ სჯერათ, რომ უკრაინა როდესმე შეძლებს ბოლო ოთხ თვეში დაკარგული ტერიტორიების სრულად დაბრუნებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აშშ კიდევ უფრო მძიმე და თანამედროვე შეიარაღებას გადასცემს კიევს.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მრჩევლები უკვე განიხილავენ შესაძლებლობას, რომ უკრაინის პრეზიდენტმა შეცვალოს ტერმინ „უკრაინის გამარჯვების“ შინაარსი, რათა ის შეესაბამებოდეს რეალობას, რომ უკრაინამ ტერიტორიების ნაწილი სამუდამოდ დაკარგა.

ამასთან, აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა „სიენენთან“ საუბრისას ხაზი გაუსვეს, რომ ასეთი პესიმისტური შეფასება არ ნიშნავს, რომ აშშ აპირებს ზეწოლას უკრაინაზე, რათა მან ფორმალურად დაუთმოს ტერიტორიების ნაწილი რუსეთს, რომ ომი დასრულდეს. ასევე არსებობს იმედი, რომ უკრაინა შეძლებს კონტრშეტევების შედეგად ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნებას.

დარტყმა კრემენჩუკზე

უკრაინის პოლტავის ოლქში, კრემენჩუკის სავაჭრო ცენტრზე რუსეთის ძალების მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 18-მდე გაიზარდა. დაშავებულია 59 ადამიანი, მათგან 25 ჰოსპიტალიზებულია. მონაცემებს პოლტავის საოლქო სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დმიტრი ლინინი და საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახური ავრცელებს.

ორი სარაკეტო დარტყმა კემენჩუკის სავაჭრო ცენტრზე რუსეთის ძალებმა 27 ივნისს მიიტანეს. უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, საჰაერო განგაშის გამოცხადებისას ცენტრში მყოფი მოქალაქეების დიდმა ნაწილმა შენობის დატოვება მოასწრო.

ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების რაოდენობა იზრდება

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსი სწრაფი რეაგირების ძალების რაოდენობას 300 000 ჯარისკაცამდე გაზრდის.

ამჟამად, ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები 40 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეს ითვლის. ნატოს მადრიდის სამიტზე, რომელიც 28-30 ივნისს გაიმართება, ასევე მოსალოდნელია, რომ ალიანსი მიიღებს უსაფრთხოების ახალ სტრატეგიულ კონცეფციას და შეცვლის რუსეთთან ურთიერთობის ფორმულირებას, რომელიც რუსეთს, ნატოს 2010 წლის სტრატეგიის თანახმად, სტრატეგიულ პარტნიორად მოიხსენიებდა. ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები (NATO Response Force, NRF) – ეს არის კარგად მომზადებული და ტექნოლოგიურად მოწინავე მრავალეროვანი ჯარი, რომელიც შედგება სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ქვედანაყოფებისგან, ასევე სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფებისგან (ᲘᲡᲝ), რომელსაც ნატო სწრაფად განალაგებს იქ, სადაც საჭიროა.

შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო!

30 ივნისს ქართული მართლმადიდებლურ ეკლესია აღნიშნავს მართლმადიდებლობისა და საქართველოსთვის (ეს ორ მცნება განუყოფელია ქართველი ერის ისტორიაში) თავდადებული და წამებული რაინდის, წმინდანად შერაცხილი შალვა თორელი-ახალციხელის ხსენების დღეს.

მეფეთ მეფემ დიდმა თამარმა შალვა თორელი-ახალციხელი – მამაცი და მხნე მეომარი, ერთგულებისა და ვაჟკაცობისათვის ახალციხის მთავრად დანიშნა.

შალვა თორელმა (ახალციხელმა) ცნობილ შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ ხალიფას დროშა და სხვა უამრავი ნადავლი წაართვა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა. უანგარო სამსახურისთვის თამარ მეფემ შალვა მანდატურთუხუცესად განამწესა და მხედართა მთავრად დაადგინა. უებარმა ვაჟკაცმა და მამაცმა მხედართუფროსმა არაერთი გამარჯვება მოიპოვა მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში.

როცა საქართველოში ჯალალ-ედდინის ურიცხვი ლაშქარი შემოიჭრა, მეფე რუსუდანმა ქართველთა ლაშქარს უსარდლა ივანე ათაბაგი, რომელმაც „განაწყო ჯარი იმერნი და ამერნი, მხედართმთავრად დანიშნა სიმხნევითა და სიმამაცით გამორჩეულნი **„თორელნი დაიცა იგი ორნი ძმანი ახალციხელნი, შალვა, ივანე და სახელოვანი იგი მებრძოლნი“,** გვამცნობს მატიანე. სოფელ გარნისთან ექვსი ათასი ქართველი დადგა ორასი ათასი მუსულმანის წინააღმდეგ.

მესხთა გმირული ბრძოლის მიუხედავად ვერაფერი გააწყვეს სულთანის მრავალრიცხოვან ჯართან **„და იქმნეს ძლიერნი ომი“**. შალვამ და ივანემ სამჯერ სთხოვეს ივანე ათაბაგს შველა, მაგრამ უგუნური შურიძიების გამო სარდალმა ათაბაგმა მათი თხოვნა ყურად არ იღო **„არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა ერთსჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და დგეს მათ თანა შორით და მრავალთა სახელოვანთა, არამედ და არა ინება შველა ივანე ათაბაგმა, რომელთა შურითა იტყვიან ამას არა თუ შიშითა.“**

ომში ორივე ძმას **„ახალციხელებს დაუხოცეს ცხენნი, ქუეითნი მხნედ იბრძოდეს. და მოისრნეს ორგნითვე ურიცხუნი, და უმეტეს თორელნი და ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, ხმალნიცა ახალციხელთანი განწყდეს ჩაბალახსა ზედა.“** უწყალოდ დამარცხდნენ ქართველები. ტყვედ შეიპყრეს თამარ მეფის სახელოვანი სარდალი, არა ერთი ომის გმირი შალვა ახალციხელი და დაჭრილი მიჰგვარეს ჯალალ-ედ-დინს, ხოლო ძმა მისი, ასევე ლეგენდარული მხედართმთავარი ივანე **„გარნისისა კლდეთა შელტოვილი“** მოიკლა **„ზენაკერძო მოტევებულითა ქვითა“.** ამ საშინელ და თავზარდამცემ ომში დაიღუპა დიდძალი ხალხი, რომ არაფერი ვთქვათ ტყვედ ჩავარდნაზე (თურმე ქართველ ტყვეთა სიმრავლე მრავალრიცხოვანი ყოფილა და თითო ქართველი 2-3 დინარად იყიდებოდა). როდესაც შალვა თორელი (ახალციხელი) მიიყვანეს სულთანთან, მან ეს სახელოვანი რაინდი შეინდო და პატივისცემის ნიშნად **„მიანიჭა ქალაქნი ადარბადაგანისანი“.** ასეთი პატივით, ალბათ, ჯალალ-ედ-დინი ფიქრობდა მის გადაბირებას და საქართველოს დაპყრობაში გამოყენებას.

ქართველი მემატიანის გადმოცემით, ჯალალ-ედ-დინი ერთი წლის განმავლობაში შალვა თორელ-ახალციხელს **„აიძულებდა დატევებასა სჯულისას და უქადაგებდა ნიჭთა და პატივთა უმეტესთა. ხოლო მან არა უსმინა, არცა აღირჩია წუთ ჟამისა ამის პატივი, არც უარყო სახელი ქრისტესი. კუალად სულთანი ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფისა ქრისტეს იგი გარემოაქცევდა სიტყუათა მისთა. არამედ კუალად სულთანი, ქადოდა მრავალფერითა სატანჯველითა ეგო და აშინებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა. ხოლო შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მწარითა სიკვდილითა განიყუანა საწუთროსა წმინდა შალვა, და მოწამეობისა გვირგვინითა შემკული აღვიდა წინაშე ქრისტესა“ („ქართლის ცხოვრება“)**

გარნისთან ბრძოლა 1225 წელს მტრის ქართველებზე გამარჯვებით დამთავრდა. ანტონ კათალიკოსი (XVI საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე) შალვა თორელ-ახალციხელის შესახებ ჟამთააღმწერლის მსგავსად გადმოგვცემს ამ დიდებული ერისთავთერისთავის, გამოჩენილი სარდლის, მეჭურჭლეთუხუცესისა და მანდატურთუხუცესის ისტორიას, როგორც მესხთა მეწინავე ლაშქრის მხედართმთავრის გმირულ ბრძოლებს ქრისტესმოძულე დამპყრობლების წინააღმდეგ შამქორთან, ყარსთან, ბასიანთან.

ჯალალ-ედ-დინი დიდხანს ცდილობდა ზნესრული რაინდის გადაბირებას და როცა ვერაფერს გახდა მისი წამებით მოკვდინება ბრძანა, რასაც შალვა თორელ-ახალციხელი სიხარულით შეეგება. **„იხარებოდე, ჰოი, შალვა დავითმინოთ, შალვა, სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიცა ერთგზის წინაუძს ყოველსა კაცსა“.**

შალვა თორელ-ახალციხელის ღვაწლმა ხალხურ პოეზიაშიც ჰპოვა ასახვა. დღესაც ომახიანად და გულში ჩამწვდომად ჟღერს „შავლეგო“, რომელიც განადიდებს შალვა თორელის ვაჟკაცობას და ღვაწლს. აი, ის ლექსიც.

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
სისხლში გაგიხამებია, შავლეგო,
ყაწმები გიხდებოდა, შავლეგო,
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო,
შავლეგ შენი შავი ჩოხა, შავლეგო,...“

* * *

ძმები შალვა და ივანე თორელები ჩვენი ხეობის გმირთაგმირი შვილები არიან. მათი დონის სახელოვანი პიროვნებები ბორჯომის ხეობის ისტორიას არ ახსოვს. თორელები არა მარტო მტერთან ბრძოლაში იყვნენ სწორუპოვარი რაინდები, არამედ გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწენი გახლდათ. **თორელთა სახელს უკავშირდება ტიმოთესუბნის მონასტრის მშენებლობა,** რომელიც დღესაც ანცვიფრებს მნახველებს თავისი სიდიადით. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თორი საქართველოს ისტორიაში კულტურულ-ეკონომიკურ თვალსაზრისით ერთ-ერთი დაწინაურებული მხარე იყო და შალვა და ივანე თორელების მსგავსად სხვა არაერთი სახელოვანი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე თორელი გაიზარდა ამ მხარეში, რომელმაც დიდების შარავანდედი შესძინეს ჩვენს ქვეყანას.

დასასრულს, მინდა ჩემი დიდი ხნის ოცნებაც გავაჟღერო, ახლა, როცა სერიოზულად დაკნინდა და დაიმცრო ქართველთა სახელოვანი წარსულისადმი პატივისცემა, როცა დავიწყებას ეძლევა გმირ წინაპართა სახელოვანი ტრადიციები, მინდა კულტურის სამინისტროს, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას მოკრძალებით ვთხოვო, და იქნებ ღირდეს სახელოვან წინაპართა შალვა და ივანე თორელთა ძეგლი აღგვემართა ბორჯომის ცენტრში, რაც ამ გმირი ადამიანების ხსოვნის დაფასება და პატივისცემა იქნება.

იქნებ ღირდეს ამ მოკრძალებული წინადადების სახალხოდ განხილვა, რათა ახლა მაინც უკვდავყოთ საქართველოს თავდადებული რაინდების სახელები.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი; ბორჯომის საპატიო მოქალაქე; ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარე.



◎ თაობა

არის დუბლი!



უკვე გაუწყეთ, რომ სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე 18 და 23-წლამდელ ნიჩბოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი შარშანდელმა გვირგვინოსანმა ალექსანდრე წივწივაძემ ერთადგილიანი კანოეთი 1000-მეტრიან დისტანციაზე დაიმსახურა.

თანატოლთა ფორუმის ფინიშზე 18 წლის რუსთაველმა კანოისტმა მეორედ ააბიჯა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე – ამჯერად მას ბადალი არ ჰყავდა ერთადგილიანი კანოეთი 200 მეტრზე ასპარეზობაში. აღსანიშნავია, რომ უმცროსთა შორის აწ უკვე კონტინენტის სამგზის ტრიუმფატორი და მსოფლიოს ჩემპიონი ოსტატობას მშობლიური ქალაქის ცენტრალური პარკის სანიჩბოსნო ბაზაზე იმაღლებს, რომელიც დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ მისმა სეხნია ბაბუამ განაახლა. **დავძენთ, რომ 200 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი გაცურვაში 23-წლამდელთა შორის ფოთელმა გია გაბედავამ მე-4 ადგილი დაიკავა.**

◎ ხალიჩაზე

გენოს რომი

საძართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების ლიდერმა გენო პეტრიაშვილმა თავის უმდიდრეს კოლექციას კიდევ ერთი ოქრო შესძინა. ამჯერად გორელმა ფალავანმა რომში გამართული მატეო პელიკონეს სახელობის საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირი მოიგო 125 კგ. წონით კატეგორიაში.

აღსანიშნავია ის აშკარა უპირატესობა, როგორითაც „ჯვაროსანი“ უმთავრესი თურქი მეტოქის – ტაჰა აკგულის არყოფნაში დანარჩენ ოპონენტებს გაუსწორდა: გენადი კუდინოვიჩი (გერმანია) – 11:0, აზამატ ხოსონოვი (საბერძნეთი) – 12:1, ოლექსანდრ ხოციანოვსკი (უკრაინა) – 9:2 და ფინალში – რობერტ ბარანი (პოლონეთი) – 6:0.

დავძენთ, რომ იტალიურ ხალიჩაზე ვერცხლს გივი მაჭარაშვილი და ტარზან და მირიან მაისურაძეები დაეუფლნენ, ხოლო ბრინჯაოს – თეიმურაზ ვანიშვილი, ვლადიმერ გამყრელიძე, ზაურ ბერაძე და ელიზბარ ოდიკაძე.

◎ ტატამზე

პირადშიც, გუნდურშიც

ოთხი მედლით დაბრუნდნენ სამშობლოში ხორვატეთის ქალაქ პორეცში დასრულებული ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატიდან ქართველი ძიუდოისტები – 2 ოქრო და 2 ბრინჯაო.

პირად პირველობაში უმაღლესი წოდება **საბა სამადაშვილმა** (66) და გიორგი მიშველიძემ (73) დაიმსახურეს, დავით ლომიტაშვილი კი (55) მესამე პრიზიორი გახდა.

მეორე ბრინჯაო „ჯვაროსნებმა“ გუნდურ ტურნირში მოიხვეჭეს ასეთი შემადგენლობით: დავით კევლიშვილი, საბა გველესიანი, ნიკოლოზ ზაალიშვილი, თამარ გიგოლაევა, ნინო დარჩია და ლიზი ქვარცხავა.



ჩვენებურებმა თანმიმდევრობით სძლიეს ნიდერლანდებს – 4:3, ავსტრიას – 4:2, ნახევარფინალი უკრაინასთან დათმეს – 2:4 და მედლისათვის ბრძოლაში უნგრეთი დაჯაბნეს – 4:1.

◎ კორტზე

ორივე ფრონტზე

სათავგადასავლო ჟანრის ტრილერით ჩაება უიმბლდონის გრანდ სლემის მესამე ტურნირში მსოფლიოს 22-ე ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელსაც წვიმის გამო რამდენჯერმე შეწყვეტილი ხუთსეტიანი მარათონის გამო თითქმის მთელი დღის გატარება საერთაშორისო კლასიფიკაციის 278-ე ნომერ ლუკაშ როსოლთან კორტზე მოუწია – 6:7, 7:6, 3:6, 6:3, 6:3.

36 წლის ჩეხი ვეტერანი რომ სერიოზულად იყო განწყობილი წარმატების მოსაპოვებლად, სასტარტო პარტიამაც დაადასტურა, რომელშიც როსოლი 5:1 დაწინაურდა და ნიკას გაბრძოლების მიუხედავად, ანგარიში ტაიბრეიქის მოგებით გახსნა.

კატათაგვობანა შემდეგაც გაგრძელდა, მსგავსი სცენარით განვითარებულ მოვლენებში კი, როგორც უფრო ხშირად ხდება ხოლმე, მიზნის მისაღწევად შედარებით უფრო მეტი რესურსი უფრო ახალგაზრდა ბასილაშვილს აღმოაჩნდა. ასე რომ, მათ პირად შეხვედრებში წინ ქართველი ჩოგბურთელი გავიდა – 2:1.

მისი მომდევნო მეტოქე პლანეტის 82-ე ჩოგანი, ფრანგი კუენტენ ჰალისი იქნება, რომელმაც თანამემამულე ბენუა პერი დაამარცხა. აქამდე ისინი ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან.

* * *

ამასობაში მონტენეგროს ქალაქ ულცინში საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა დევისის თასის გათამაშების ევროპული ზონის რვაგუნდიანი მესამე ჯგუფის ტურნირი, სადაც „ჯვაროსანთა“ კვარტეტს (სანდრო მეტრეველი, საბა ფურცელაძე, ალექსანდრე ბაკში, ზურაბ ტყემალაძე, კაპიტანი – ალექსანდრე კვერნაძე) ერთი პარტიაც არ წაუგია.

ჩვენებმა ჯგუფურ ეტაპზე თანამიმდევრობით სძლიეს სომხეთს, ლიხტენშტეინსა და კვიპროსს, ხოლო ფინალში ლუქსემბურგიც დაჯაბნეს და ოქროს მედლებთან ერთად მეორე ჯგუფში გადასასვლელი ევროპული პლეიოფის საგზურს დაეუფლნენ.

◎ აუზში

ამჯერად - განწირულნი

ხორვატეთი რომ სპორტის სათამაშო სახეობებში წამყვან ქვეყანათა შორისაა, არაერთხელ დავრწმუნდით. გამონაკლისს არც წყალბურთი წარმოადგენს – მხოლოდ მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონობა რად ღირს.

სწორედ ასეთ მრისხანე მეტოქესთან მოუწია ბუდაპეშტში მიმდინარე მისთვის სადებიუტო მუნდიალის პლეი-ოფში ბრძოლა **დეიან სტანოიევიჩის** გაწვრთნილ საქართველოს ნაკრებს, თუმცა, იგი უფრო უთანასწორო ბრძოლა გამოდგა, რადგან ჩვენი გუნდის თამაშში ერთბაშად იჩინა თავი ჯგუფურ რაუნდში დაგროვილმა როგორც ფიზიკურმა, ისე ფსიქოლოგიურმა დაღლილობამ.

დაუმატეთ ამას ბალკანელთა გაცილებით მაღალი ინდივიდუალური კლასი ტაქტიკური უპირატესობის თანხლებით და მიხვდებით, რატომაც ვჩანდით განწირულნი შეხვედრის დაწყებისთანავე.

მართლაც, ამჯერად ძალამ აღმართი მოხნა და ფავორიტმა უპრობლემოდ მიიყვანა საქმე ლოგიკურ გამარჯვებამდე – 13:7 (3:2, 4:2, 3:0, 3:3), ჩვენ კი მე-9 ადგილისთვის დღეს უსუსტეს სამხრეთ აფრიკასთან გავმართავთ მატჩს, რომელმაც კოვიდ-ვირუსით დაავადებული კანადა შეცვალა, მასთან წარმატების შემთხვევაში კი ავსტრალია – იაპონიას შორის უძლიერესს დავუპირისპირდებით.

დანარჩენი შედეგები: მონტენეგრო – იაპონია 10:9, იტალია – ავსტრალია 17:6, აშშ – სამხრეთ აფრიკა 24:2.

დავძენთ, რომ მეოთხედფინალში დიდი ომია: სერბეთი – ხორვატეთი!

◎ ზღვარზე

მესია აღამიანი?!..

კაცი იფიქრებს, რაღათი უნდა გაგვაოცოს ლეო მესიმო, მაგრამ თურმე არსებობს ციფრები, 35 წლის არგენტინელს კიდევ კარგახანს რომ მიაკუთვნებს რეკორდებს. მათი რაოდენობა 56-ია (კრიშტიანუ რონალდუსი – 79!).

ისინი დახარისხებულია შემდეგ ნომინაციებში: მსოფლიო მიღწევები, ევროპული და სამხრეთამერიკული მიღწევები, ესპანური ფეხბურთის მიღწევები, არგენტინის ნაკრების მიღწევები და „ბარსელონას“ მიღწევები.

აი, ზოგიერთი მათგანი: ოქროს ბურთი – 7, ოქროს ბუცი – 6, ყველაზე მეტი გოლი ერთ კლუბში („ბარსელონა“) – 672, ყველაზე მეტი გოლი ჩემპიონთა ლიგაში ერთ კლუბში („ბარსელონა“) – 120, საუკეთესო ასისტენტი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში – 368 საგოლე პასი, ლიდერი ჩემპიონთა ლიგაში ჰეთ-თრიკების რაოდენობით – 8, საუკეთესო ბომბარდირი ლა ლიგის ისტორიაში – 474 გოლი, საუკეთესო ასისტენტი ლა ლიგის ისტორიაში – 192 საგოლე პასი, ყველაზე მეტი მოგება ლა ლიგაში 383, ყველაზე მეტი მატჩი არგენტინის ნაკრებში – 162, არგენტინის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი – 86 გოლი, საუკეთესო ბომბარდირი ელ კლასიკოში – 27 გოლი, ყველაზე მეტი ოფიციალური მატჩი – 778.

მედიკამენტებით მოსახლეობის ძარცვა კიდევ უფრო შემცირდება!

ფარმაცევტები პრემიერს არ ეთანხმებიან. ისინი კვლავაც ამტკიცებენ, რომ წამლებზე არსებული დიდი ფასნამატი მათი მიზეზით არ იყო გამოწვეული. მთავრობა კი გაჩერებას არ აპირებს და მომავალში მედიკამენტების კიდევ უფრო გაიაფების მიზნით, ადგილობრივი წარმოების გაძლიერებას გეგმავს, მსხვილი ინვესტორის შემოყვანითა და ახალი ფარმაცევტული საწარმოების ამოქმედებით.

მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა პარლამენტში გამოსვლისას კიდევ ერთხელ ისაუბრა. მან

ხაზი გაუსვა, რომ მედიკამენტები ქვეყანაში 400%-იანი ფასნამატით იყიდებოდა, **„ეს კი მოსახლეობის პირდაპირი ძარცვაა“.**

რაც შეეხება კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ანგარიშს, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ფასნამატი გენერიკულ მედიკამენტებზე, რიგ შემთხვევებში, აღწევდა 200%-ს, ხოლო მედიკამენტებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია სავაჭრო დასახელებებით 20-30%-ის ფარგლებში იყო.

სწორედ ამაზე აკეთებს აქცენტს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის გენერალური დირექტორი **ნიკოლოზ გამყრელიძე.** მისი აზრით, როდესაც საუბარია მარჟებზე, აუცილებლად უნდა ვნახოთ კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დასკვნა, სადაც ამ რაოდენობის სხვაობაზე საუბარი არ არის.

„რაც შეეხება თურქეთის ბაზარს, ბიზნესის და სახელმწიფოს ძალიან კარგი პარტნიორობით შევძელით, რომ დაბალი ფასებისთვის მიგვეღწია. მარტო ჩვენი კომპანიის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ 3 თვეში მოსახლეობამ 12-13 მლნ ლარი დაზოგა. ეს ძალიან დიდი შეღავათია.

წამლის გაიაფების პირველი მცდელობა, რომელიც თურქეთიდან მედიკამენტების იმპორტს უკავშირდება, მეტ-ნაკლებად წარმატებულია. სპეციალისტების აზრით, თუკი შემდეგი ეტაპი ადგილობრივი წარმოების გახსნა იქნება და პარალელურად ხარისხის კონტროლი გაძლიერდება, წამლის გაიაფების პერსპექტივა სავსებით რეალურია.

ამ მხრივ იმედისმომცემია პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადება, რომლის მიხედვითაც რამდენიმე ინვესტორი დაინტერესებულია საქართველოში წამლების წარმოების დაწყებით. როგორც პრემიერმა პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, ამ რამდენიმე ქარხნის მეპატრონე მთავრობასთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს.

„მას შემდეგ, რაც ჩვენ თურქეთის ბაზარი გავხსენით, თითქმის 55 მლნ ლარამდე ეკონომია ნახა მოსახლეობამ. შემდეგ კი ბევრი მაღალტექნოლოგიური, ძალიან ძლიერი ქარხნების მფლობელი დაუკავშირდა მთავრობას და აქედან ორი, თუ სამი უკვე ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებს სამინისტროსთან. მათი სურვილია, რომ აამოქმედონ ახალი ქარხნები საქართველოში და აქ დაიწყონ მაღალი ხარისხის წამლების წარმოება.

ის პრობლემა, რაც იყო ფარმაცევტულ ბაზარზე, ეს ნაწილობრივ მოწესრიგდა. თურქეთის ბაზრის გახსნა იქნებოდა, თუ სხვა რეგულაციები, რაც განვახორციელეთ (ელექტრონული რეცეპტების შემოტანა თუ სხვა), ეს ძალიან კარგად წაეხმარება მედიკამენტების ფასების რეგულირებას, გაიაფებას და კონკურენციის გაზრდას, რაც რეალური პრობლემა იყო“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერი დარწმუნებულია, რომ თურქული ბაზრის გახსნა და რეცეპტების ელექტრონული წესით გაცემა ბაზარს ფასების დარეგულირებასა და დაწევაში დაეხმარება.

ბექა დანელია

სანთელი

„საზოგადოება კუს ტბა“ გამოხატავს ღრმა მწუხარებას საზოგადოების აქტიური წევრის, ღირსეული პიროვნების

ვაჟა ქადაგიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს.

„ყვარლის მთამ“ სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი დანერგა

თიანეთის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო ხელშეწყობით შექმნილმა რძის გადამმუშავებელმა კოოპერატივულმა საწარმომ „ყვარის მთა“ სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი დანერგა.

საწარმო, რომლის წარმადობა დღიურად 1,5 ტონას შეადგენს, უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებით მაღალი ხარისხის რძის პროდუქტების, მათ შორის, ტრადიციული პროდუქტის დამბალხაჭოს წარმოებას. პროდუქციის რეალიზება ადგილობრივ ბაზარზე ხორციელდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა „ყვარლის მთა“ სოფლის განვითარების სააგენტოს ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, რძის გადამმუშავებელ საწარმოში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა დანერგა, სახელმწიფო თანადაფინანსებამ 90 პროცენტი — 13,500 ლარი შეადგინა.

რძის გადამმუშავებელ საწარმოში სამუშაო პროცესს სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების მართვისა და ტექნიკური დახმარების დეპარტამენტის უფროსი თორნიკე კაპანაძე და თიანეთის მერი ლევან წიკლაური გაეცნენ.

თორნიკე რიჭვაძე: დასრულდა მუშაობა ბათუმის ბულვარის განაშენიანების და კონსერვაციის გეგმაზე...

ბათუმის ბულვარს პირველად მისი არსებობის ისტორიაში ექნება გენერალური გეგმა. უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტი საუკუნოვან ბაღს თავისი არსებობის მანძილზე პირველად ექნება.

დოკუმენტი ემსახურება ისტორიულად ჩამოყალიბებული იერსახის მაქსიმალურად შენარჩუნებას და აღდგენას მნიშვნელოვანი ჩარევებისა და ცვლილებების გარეშე, ძველი ბულვარის კონსერვაციას, სარეკრეაციო, თემატური სივრცეების, სანაპირო ზოლის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მოწესრიგებას. **„მთავრობამ, ეკონომიკის სამინისტრომ და ბულვარმა დაასრულა მუშაობა ბათუმის ბულვარის განაშენიანების და კონსერვაციის გეგმაზე. მე მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ პროცესში იყო ჩართული. ახლა ჯერი ბათუმის მუნიციპალიტეტზეა, საკრებულოზე. მინდა ვთხოვო, რომ უახლოეს პერიოდში დამტკიცდეს ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმა, კონსერვაცია, რაც ერთხელ და სამუდამოდ მომავალში გამორიცხავს ნებისმიერი სახის ჩარევას ბულვარის განვითარებაში და ეს საქმე უნდა იქნეს ბოლომდე მიყვანილი“...**

კადეტთა ლიცეუმში ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო

გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში 2022-2023 სასწავლო წლისათვის მისაღებ მოსწავლეთა რეგისტრაცია დაიწყო. ლიცეუმში ჩარიცხვის მსურველ მოსწავლეებს რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა 6 ივლისამდე ექნებათ. წელს პირველად, მოსწავლეების რეგისტრაცია ორ ლოკაციაზე მიმდინარეობს — ქუთაისში, კადეტთა სამხედრო ლიცეუმში და თბილისში, თავდაცვის სამინისტროს „არმიჰოლში“.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რეგისტრაციისთვის მოსწავლე ერთ-ერთ მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან ერთად უნდა გამოცხადდეს და საბუთების მიმღებ კომისიას ვებ-გვერდზე მითითებული საჭირო საბუთების ჩამონათვალი წარუდგინოს. რეგისტრაციის შემდეგ, მოსწავლემ ლიცეუმში ჩასარიცხად გამოცდები უნდა ჩააბაროს და სამედიცინო შემოწმება გაიაროს. გამოცდები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდება 9 და 10 ივლისს მათემატიკასა და ზოგად უნარებში.

მოსწავლეთა მიღების კოორდინირებისა და გამჭვირვალობის მიზნით, კომისიაზე მოვლინებულნი არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, მიმდინარე წლის 2 კვარტლის პრივატიზაციის გეგმა 108%-ით შეასრულა.

საანგარიშგებო პერიოდში პრივატიზაციის შედეგად მობილიზებულმა თანხამ 170 297 378 ლარი შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში, გეგმით გათვალისწინებული 118 000 000 ლარის ნაცვლად, 127 558 754 ლარი გადაირიცხა, ადგილობრივი თვითმართველობების ბიუჯეტში — 26 370 851 ლარი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში — 1 154 734 ლარი. დაჩქარებული პრივატიზაციის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით, სააგენტომ ჯამში 1190 ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲡᲙᲐᲜᲓᲘᲜᲐᲕᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ მიმართულებით მიმდინარე ღონისძიებების ფარგლებში დანიის სამეფოში ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე სკანდინავიური ღვინის აკადემიის დანიის ფილიალის მენეჯერ თომას ილკაერს შეხვდა.

შეხვედრაზე დავით ტყემალაძემ ქართული ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციის გაზრდის სახელმწიფო პოლიტიკასა და გეგმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დანია ისევე, როგორც სკანდინავიის სხვა ქვეყნები, მნიშვნელოვანი ახალი მიმართულებაა. მხარეებმა კონკრეტული თანამშრომლობის და ერთობლივი ღონისძიებების გამართვის გეგმები განიხილეს. აღსანიშნავია, რომ თომას ილკაერის ღვინის აკადემიაში ათეულობით მეღვინე, რესტორნების და ღვინის ბარების მფლობელია გაწევრიანებული. შესაბამისად, აკადემიის სასწავლო პროგრამაში ქართული თემატიკის შეტანა ხელს შეუწყობს საქართველოს და ქართული ღვინის შესახებ ცოდნის ამაღლებას. ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ კოპენჰაგენში, დანიის სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებითა და ღვინის ეროვნული სააგენტოსა და კომპანიის „Georgisk Win“ მხარდაჭერით, ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა, რომელსაც ღვინის პროფესიონალები დაესწრნენ, მათ შორის, სომელიების სკოლის მენეჯერი, სომელიები, ღვინის ტურების ორგანიზატორები, ღვინის ონლაინ ჟურნალის გამომცემლები და ღვინის მწერლები.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა დანიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ნატა მენაბდემ, რომელმაც ქართული ღვინის დაყენების უნიკალურ მეთოდზე და მის რვაათასწლიან ისტორიაზე ისაუბრა. ღონისძიების ფარგლებში, სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის სამშობლო“ ჩვენება გაიმართა; მოეწყო პრეზენტაცია ქართული ღვინის ისტორიისა და მეღვინეობის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი გიორგი თევზაძე უძღვებოდა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17Ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პირველმა არხმა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გამართული სტუდენტური ფილმების ფესტივალის „ფიჩინგ ფორუმის“ გამარჯვებულები დააჯილდოვა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ფესტივალს საპრიზო ფონდისთვის 5 000 ლარი გადასცა, მეორე და მესამე ადგილზე გასულ პროექტებს კი საზოგადოებრივი მაუწყებელი პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით დაეხმარება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ქართული ორიგინალური გადაცემებისა და დოკუმენტური ფილმების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია ქვეყანაში.

„საქართველოს პირველი არხი კულტურისა და შემოქმედებით ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია, ხელს უწყობს ქართული წარმოების ზრდას და ქმნის სამუშაო ადგილებს. მაუწყებელს ქართული კინოპროდუქციის კოპროდუქციაში და თანადაფინანსებაში 500 000 ლარამდე ინვესტიცია აქვს განხორციელებული, რაც მოიცავს დოკუმენტური და მხატვრული ფილმების და ამ მიმართულებით პროექტების თანადაფინანსებას“, — განაცხადა საქართველოს პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა თინათინ ბერძენიშვილმა.

„ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘ“ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ

28 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მგალობელ-მომღერალთა გუნდი „დიდგორი“ და მომღერალი მარი ხაჩიძე შვეიცარიაში გაემგზავრნენ, სადაც ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალ Volkskulturfest Obwald-ში მიიღებენ მონაწილეობას. ობვალდენის კანტონში, გისვილის მუნიციპალიტეტში გაიმართება ფოლკლორული მუსიკის დასკვნითი, რიგით მე-16 ფესტივალი მწდლთლგდეგკაუთე), რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფესტივალში 15 წლის განმავლობაში გამორჩეული მუსიკოსები და ანსამბლები.

„დიდგორმა“ ობვალდის ფესტივალში მონაწილეობა 2017 წელს მიიღო. ფესტივალში ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობენ მუსიკოსები მონღოლეთიდან, ანდალუსიდან (ესპანეთი) და საქართველოდან. ფესტივალის ფარგლებში 30 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით გაიმართება კონცერტები.



ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ ᲠᲣᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲔᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი იმ რუს მეცნიერებს, რომლებიც პუტინის ძალადობრივი პოლიტიკით არიან უკმაყოფილო, დიდ ბრიტანეთში გადასვლას სთავაზობს.

ბრიტანეთის პრემიერის განმარტებით, ეს შეთავაზება არის უკრაინულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის არსებული სისტემის გაფართოება, რომელიც საშუალებას აძლევს უკრაინელ მეცნიერებს, თავიანთი მუშაობა ბრიტანეთში გააგრძელონ.

„რუსი მეცნიერები და მკვლევარები, რომლებიც შეშფოთებით უყურებენ პუტინის ძალადობას და რუსეთში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ: თქვენ შეგიძლიათ, თამამად შეიტანოთ განაცხადი ბრიტანეთში გადასვლაზე და იმუშაოთ ქვეყანაში, რომელიც აფასებს ღიაობას, თავისუფლებას და ცოდნისკენ სწრაფვას“, — განაცხადა ბორის ჯონსონმა.

პროგრამის „მკვლევარები რისკის ზონაში“ ფარგლებში დიდ ბრიტანეთში 130-მდე უკრაინელი მეცნიერი ჩავა. პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა თითქმის 10 მილიონი ფუნტით. ანალოგიურ მხარდაჭერას ბრიტანეთის ხელისუფლება ახლა რუს მეცნიერებასაც სთავაზობს.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚ ᲑᲐᲜᲙᲡ ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲓᲐᲐᲙᲘᲡᲠᲔᲡ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲘ ბანკი Credit Suisse ბულგარულ ნარკობიზნესთან დაკავშირებული ფულის გათეთრებაში დამნაშავედ ცნეს. ბანკს ორი მილიონი შვეიცარიული ფრანკის ოდენობის ჯარიმა დააკისრეს. ორგანიზაციას ასევე შვეიცარიის მთავრობისთვის 19 მილიონი ფრანკის გადახდა დაეკალ.

შვეიცარიის სისხლის სამართლის სასამართლომ დაადგინა, რომ ბანკმა არ გაატარა საკმარისი ზომები დანაშაულებრივი სინდიკატის წევრების მიერ ევროპაში კოკაინის ვაჭრობით სარგებელის მიღების პრევენციისთვის. შვეიცარიის სასამართლომ ფულის გათეთრებაში დამნაშავედ ცნო ყოფილი ბულგარელი ჩოგბურთელი ელენა პამპულოვა-ბერგომი, რომელიც გარკვეული პერიოდი ბანკში მუშაობდა, მას 20-თვიანი პირობითი პატიმრობა შეეფარდა.

სასამართლომ მოისმინა ჩვენებები 2004-2008 წლებში ბანკის მიერ დეპოზიტებად მიღებულ მილიონობით ევროსთან დაკავშირებით. პროკურატურის განცხადებით, პამპულოვა-ბერგომის ჩამოაყალიბა არაფორმალური ფინანსური ურთიერთობა ყოფილ ბულგარელ მოჭიდავესთან ეველინ ბანევთან, რომელიც ევროპული ნარკოდაჯგუფების მსხვილი ფიგურა იყო. სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ ყოფილი ჩოგბურთელი მოჭიდავესთან დაკავშირებული პირებისგან რეგულარულად იღებდა ნაღდი ფულით სავსე ჩანთებს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.9349; ᲔᲕᲠᲝ - 3.1066
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.6049;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 5.4250; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1689;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.7325;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 7.1934.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+14, ᲓᲦᲔ +29
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10, ᲓᲦᲔ +28

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+14, ᲓᲦᲔ +27
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+13, ᲓᲦᲔ +26
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+18, ᲓᲦᲔ +29

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge